ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 48 (1064) | შაბათი, 29 აპრილი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეები თბილისში

დრო დიდ წინაპართა ანდერძის აღსრულებისა

საოცრად შთამბეჭდავი პარალელების გავლება იცის ხოლმე ზოგჯერ ისტორიამ.

ახლაც ასეა.

თითქმის ოთხმოცი წლის წინ, 1916 წლის მარტის თვეში, საქართველოს მეტად ძნელსა და მნიშვნელოვან დღეებში, თბილისში ჩამოვიდა აჭარის დეპუტაცია, ხოლო იმავე წლის აპრილის ბოლოს — აფხაზეთის დეპუტაცია.

ახლაც, მეტად მნიშვნელოვან და ძნელ დღეებში, თბილისი აჭარელ ძმებს მასპინძლობს.

მაშინ მათ დეპუტაციაში ოცი კაცი იყო.

დღეს — ორასზე მეტი.

იმ დეპუტაციის წევრმა რეჯებ ნიჟარაძემ მაშინ მასპინძლებს სთხოვა: „თუ გსურთ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში მყოფ ძმების შეხვედრა, მაშინ მოგვეცით სწავლა-განათლება და ოცდაათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში ჩამოგრჩებით".

ოთხმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, თითქმის ოთხმოცი, ადამიანისთვის ერთი ცხოვრება, ისტორიისთვის კი წამი, და აჭარა დღეს სულ სხვაა — ერთ-ერთი მოთავე, ერთ-ერთი პატრონი და ერთ-ერთი განმავითარებელი ქართული კულტურისა.

ჩვენი აჭარელი ძმების ახლანდელი სტუმრობა თბილისში ყოველივე ამის და დროთა კავშირის თვალსაჩინო გამოხატულება გახლავთ.

სტუმრები თავის დედაქალაქში, თბილისში, მეტად შთამბეჭდავად ჩამობრძანდნენ — ახლადდაარსებული საოპერო თეატრის სამი სპექტაკლით, მხატვართა გამოფენით, მწერლებით, სამთავრობო დელეგაციით.

იმ დეპუტაციის წევრი, ერთიანი საქართველოსთვის თავგამოდებული მებრძოლი, დიდი ქართველი მოღვაწე მემედ აბაშიძე გახლდათ, რომელიც ამბობდა: ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ, ხოლო დღევანდელი შესანიშნავი დღეების უკან მისი შვილიშვილი, ასლან აბაშიძე დგას, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

მემედ აბაშიძე, თავად შესანიშნავი მოქალაქე და ყოველივე ქართულის დაცვისთვის რეპრესირებული და დახვრეტილი, დღეს ჩვენს გვერდითაა არა მხოლოდ თავისი სახელით, არა მხოლოდ თავისი შვილიშვილით, არამედ იმ მნიშვნელოვანი წვლილითაც, რომელიც დღეს შეაქვს საქართველოს უბრწყინვალეს კუთხეს აჭარას ქართული კულტურის გადარჩენასა და განვითარებაში, საქართველოში სიმშვიდის დამყარებასა და საქართველოს ერთიანობის დაცვაში.

ეს მეტად ბევრს ნიშნავს.

იმ ჩამოსვლისას დეპუტაციის ხელმძღვანელი ხოჯა ციბაძე ამბობდა: „უზენაესის განგებით, გათიშულნი ძმანი კვლავ ერთად ვართ... და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას... ერთია ჩვენი სამშობლოც და ურთიერთს საქმით უნდა დავეხმარნეთ მის აღსადგენად".

დღეს, აჭარა თავად უჩვენებს მთელ საქართველოს შესანიშნავ მაგალითს ყოველივე ამისა, მისაბაძ მაგალითს.

ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად სცილდება ერთი პიროვნების ღვაწლის დაფასებისა და ხელოვნების ვიწრო ფარგლებს.

გვიჭირს, მაგრამ ამ გაჭირვებაშიც უნდა შევძლოთ ადამიანებად, მაღალი კულტურის მქონე ადამიანებად დარჩენა.

ქვეყანას არ შეუძლია ასეთ დღესასწაულთა გარეშე არსებობა.

მალე ჩვენ ქუთაისში ვიდღესასწაულებთ „საქართველოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენის ათას წლისთავს", ბათუმი უმასპინძლებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალს „ოქროს არწივს", თბილისი — საერთაშორისო ფორუმს „შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, სოლიდარობისა და კულტურათა დიალოგისათვის".

ნაწილი ამათგან უცხოელთა დახმარებით კეთდება, ნაწილი ჩვენი სახსრებით. ძნელია ამ სახსრების შოვნა, მაგრამ აუცილებელი.

არ შეიძლება ჩვენი ბავშვები მხოლოდ უბედურებასა და ვაივიშში გაიზარდონ, არ შეიძლება, მსოფლიო გვიყურებდეს, როგორც მხოლოდ ყაჩაღთა და მათხოვართა ქვეყანას.

ჩვენ მსოფლიოს თვალნათლივ უნდა დავანახოთ ჩვენი კულტურული პოტენციალი, დავანახოთ, რომ ჩვენც გვაქვს მსოფლიო ცივილიზაციაში შეტანილი ჩვენი წვლილი და კიდევ შეგვიძლია შეტანა, ე. ი. დავანახოთ, რანიც ვართ სინამდვილეში.

ჩვენ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ საქართველო მრავალფეროვანი მთლიანი და ტოლერანტული ქვეყანაა, რომ აქ ადამიანებს საღვთო სიყვარულით უყვართ ერთმანეთი. საქვეყნოდ დავადასტუროთ, რომ არა სიძულვილი და გაუტანლობა, არამედ სიყვარულის ნიჭი უბოძებია ჩვენთვის განგებას.

ჩვენ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენთვის წინაპართა ხსოვნა და სახელი მხოლოდ საამაყო და კეთილად მოსაგონარი რამ კი არ არის, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც ჩვენი შთამომავლობის წინაშე.

მათ ანდერძს წმინდად უნდა აღსრულება — მუდამ და ყოველდღიურად უნდა ვიღვაწოთ საქართველოსთვის, დაუღალავად უნდა დავიცვათ მისი სულიერი, კულტურული და სახელმწიფოებრივი მთლიანობა.

ასეთია ანდერძი ჩვენი წინაპრებისა, ასეთია ანდერძი დიდი ილიას ერთგული მიმდევრის მემედ აბაშიძისა, ასეთია ანდერძი ყველა მათი, ვისაც საქართველო სწამდა უმაღლეს ყოვლისა.

დადგება დრო, სხვა კუთხეთა შვილებიც ჩამოვლენ თბილისში თავისი ხელოვნების შთამბეჭდავი დემონსტრაციით, დადგება დრო და ისევე, როგორც თითქმის ოთხმოცი წლის წინათ, აჭარის დეპუტაციის შემდეგ აფხაზეთის დიდი კულტურული დელეგაციაც ჩამოვა თბილისში იმის სათქმელად, რომ მრავალფერი საქართველო ერთია, ერთი მთლიანი ღვთისა და ერის წინაშე.

დადგება დრო და ოსთა და ქართველთა ჭრილობები მოშუშდება და თბილისი კვლავ უმასპინძლებს ამ კუთხის შვილთა კეთილ მისიებს.

კურთხეულ იყოს ეს ერთიანობა და ეს ერთმანეთისკენ წმინდა სწრაფვა.

თბილისი.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისის სამხატვრო გალერეა მასპინძლობს ბათუმელებს

ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის მიერ 24 აპრილს წარმოდგენილი ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერის" შესანიშნავი დადგმითა და მისი უმაგალითო წარმატებით აღფრთოვანებულმა თბილისელმა საზოგადოებრიობამ 26 აპრილს დედაქალაქის სამხატვრო გალერეას მიაშურა, სადაც გაიხსნა აჭარის მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.

აქ მოვიდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, მემედ აბაშიძის 120 წლისთავის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი მენაღარიშვილი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ელგუჯა ამაშუკელი, სახელგანთქმული ქართველი მხატვრები, მოქანდაკეები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

— აჭარის მხატვრების შემოქმედება, რომელიც დღეს თბილისშია წარმოდგენილი, —აღნიშნა ბატონმა ელგუჯა ამაშუკელმა, — იმით არის საინტერესო, რომ იგი შეიცავს როგორც ძველი, ისე ახალი თაობის მხატვართა ნამუშევრებს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მაშინ, როცა ჩვენში ანარქიამ და ქაოსმა, ურთიერთდაპირისპირებამ იმძლავრა, აჭარაში იქმნებოდა მთელი რიგი საინტერესო ტილოები, რომელთა ნაწილიც დღეს აქ არის წარმოდგენილი.

ამ საერთო ზოგადქართული სულიერი ფასეულობების გადარჩენისა და აღმავლობის უდიდეს სიკეთესა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კულტურის მინისტრმა დავით მაღრაძემ, თბილისის სამხატვრო გალერეის გენერალურმა დირექტორმა თემო გოცაძემ, მწერლებმა: გივი ჯაყელმა, ფრიდონ ხალვაშმა, საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ ხასან ინაიშვილმა, პროფესორმა გურამ შარაძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ნოდარ ფაღავამ თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა მემედ აბაშიძის საიუბილეო კომისიის წევრებს, დედაქალაქის ხელმძღვანელობას, საქართველოს მხატვართა კავშირს, აქ შეკრებილ ფუნჯისა და საჭრეთლის სახელოვან ოსტატებს, თბილისელებს აჭარელი მხატვრების შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის, გულთბილი მასპინძლობისათვის.

გამოფენის სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს სახალხო მხატვრის შოთა ხოლუაშვილის, ხასან ინაიშვილის, ხიმონ და ბადრი ართმელაძეების, ვაჟა ბუალავას, ზაურ წულაძის, ვახტანგ ბესელიას, ნინო ნიჟარაძის, კობა ფირცხალაიშვილის, ჯემალ გორგილაძის და სხვათა შესანიშნავი ტილოები.

ამ გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი პრიმიტივისტის ჰასან მელიმიშის ზღვის თემაზე შექმნილი ნამუშევრები. „ზღვის ფიროსმანი", — არაერთხელ გაისმა ამ დარბაზში ასეთი ეპითეტი. მელიმიშის ნახატების ხილვა უდაოდ დიდ სიამოვნებას და სულიერ კმაყოფილებას მიანიჭებს თბილისელებს.

...ისევ ამთლიანებს საქართველოს!

იმავე დღეს მემედ აბაშიძის საიუბილეო დღეების მონაწილე აჭარის მწერლებს გულთბილი, ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს მწერალთა კავშირში.

თავის მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ აჭარამ, მისმა ხელოვნებამ, მწერლობამ მართლაც უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ეროვნული სულიერი ფასეულობების გადარჩენის, მათი აღორძინებისა და განვითარების საქმეში. ამიტომაც არის, — თქვა ბატონმა გურამმა, — რომ დღეს არა მარტო დედაქალაქი, არამედ მთელი საქართველო იმკის აჭარის ხელმძღვანელობის, მისი შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდესი ძალისხმევის შესანიშნავ ნაყოფს.

დარბაზში შეკრებილ აჭარელ კოლეგებს: ფრიდონ ხალვაშს, გივი ჯაყელს, ზურაბ გორგილაძეს, მამია ვარშანიძეს, ალექსანდრე ჩხაიძეს, ამირან ხარაზს, ვახტანგ ახვლედიანს, მეცნიერს შუშანა ფუტკარაძეს, გულთბილი სიტყვებით მიმართეს ბატონებმა მურმან ლებანიძემ, ილია რურუამ, თამაზ ჭილაძემ და სხვა მწერლებმა.

— ალბათ, ნიშანდობლივია, — თქვა თავის გამოსვლაში ცნობილმა მწერალმა თამაზ ჭილაძემ, — რომ სახელოვანმა მოღვაწემ და მამულიშვილმა მემედ აბაშიძემ დღეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა, კიდევ ერთი ხიდი გადო სრულიად საქართველოს გასამთლიანებლად. მშვიდი აჭარა დღეს იმედის დიდი თავშესაფარია და დროა მისი ეს სიკეთე პოლიტიკური ასპექტითაც გამოვიყენოთ. ეს დღეები თბილისში, — თქვა მან, — კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ საქართველოში არსებობს დღეს შეგნებულად უარყოფილი უდიდესი ძალა — კულტურა, რომელსაც ძალუძს სძლიოს ყოველგვარ ბოროტებას.

შემდეგ მასპინძლებმა ტრიბუნასთან მოიწვიეს აჭარელი კოლეგები. მართლაც იფრიდონეს, იზურაბეს, იამირანეს იმ დღეს საქართველოს მწერალთა ამ მრავლისმნახველ დარბაზში აჭარელთა ტკბილხმოვანმა ლექსებმა. იხარა შერმაც, სიყვარულმაც და ამ დიდებულმა ტაძარმაც, რომელსაც დიდ ხანს გაჰყვება ბათუმელი მწერლების მიერ გულით ნათქვამი სიკეთის, თანადგომის და საქართველოს ამაღლების სადღეგრძელო.

„ლელას" ხელმეორედ დაბადება

რევაზ ლაღიძის „ლელა" 27 აპრილს თბილისში, ხელახლად დაიბადა, როგორც ქართული საოპერო ჟანრის თვალსაჩინო ნაწარმოები.

გიზო ჟორდანიას ახალმა ხედვამ, მიზანსცენებით, საერთოდ, სპექტაკლის არსის ახლებურმა გააზრებამ, დავით მუქერიას საოცარმა მუსიკალურმა ინტერპრეტაციამ და, რაც მთავარია, თეატრის მთავარი ქორმეისტერის ავთანდილ ჩხენკელის არნახულმა, ვიტყოდი, „კატორღულმა შრომამ", ბათუმის საოპერო თეატრს შეუქმნა შესანიშნავი გუნდი, რომელიც დღეს მთელი დასის მძლავრი ხერხემალია.

ასეთი საყოველთაო აღფრთოვანება, რომელიც 27 აპრილს თბილისის ოპერის თეატრში მოსულმა საზოგადოებრიობამ გამოხატა „ლელას" წარმოდგენის დროს, მართლაც უკანასკნელი წლების იშვიათობა გახლავთ.

ჩვენი მუსიკათმცოდნეები, თეატრმცოდნეები, მწერლები, მუსიკოსები, ალბათ უკეთესად მომავალში უფრო კომპეტენტურად იტყვიან ამის შესახებ. მე როგორც ბათუმის ოპერის თეატრის „სამზარეულოში" ძალაუნებურად ჩახედულმა კაცმა, მინდა უფრო სხვა ასპექტით დავანახოთ ეს სიახლე.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ ალეკო ხომერიკს, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ამ თეატრში, მარტო ამ ახალგაზრდების მომზადებითა და მათი შესანიშნავი ნიჭისა და ხელოვნების წარმოჩენით, მან ქართულ საოპერო ხელოვნებას, თითოეულ ჩვენგანს „აჩუქა" მარინე ზვიადაძე, ზაზა სამათაშვილი, ალეკო ქავთარაძე, ჭაბუკა სურმანიძე და ბევრი სხვა შესანიშნავი ახალგაზრდა ხელოვანი, რომელიც მართლაც უდიდესი შენაძენია ჩვენი საოპერო ხელოვნებისათვის.

ასე, რომ ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი თავის ძირითად დანიშნულებასთან ერთად, უმაღლესი სასწავლებელიცაა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, თეატრის წინ კიდევ დიდხანს საუბრობდნენ თბილისელები, ჩვენი ხელოვნების, კულტურის, მწერლობის წარმომადგენლები. აქ იყვნენ ბატონები: დიდიმ მირცხულავა, თამაზ ჭილაძე, გულბათ ტორაძე, სხვანი.

— კარგად ვიცი, ვისაც უპირველესად ეკუთვნის რუსთაველის პრემია ჩვენი ასეთი აღფრთოვანებისთვისო, — ხუმრობანარევით გვითხრა მწერალმა და პუბლიცისტმა აკაკი ვასაძემ და გვთხოვა თბილისელების უღრმესი მადლობა და სიყვარული გადავცეთ ამ ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივის მთავარი სულისჩამდგმელისა და პატრონისათვის — ასლან აბაშიძისათვის.

რა თქმა უნდა, გადავცემთ.

„ლელას" ხელმეორედ დაბადებას გილოცავთ, მეგობრებო!

გია ჭელიძე.

ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლი

ქართველი ხალხი ღრმა მადლიერების გრძნობით აღნიშნავს დიდი მამულიშვილის, საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული რაინდის, გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავს.

ეს ღირსსახსოვარი თარიღი, კალენდარულად, ჯერ კიდევ 1993 წელს უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა, სამოქალაქო ომმა თუ სხვა მძაფრმა კრიზისულმა მოვლენებმა აქამდე შეაფერხა ეს საქმე. მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

* * *

მემედ აბაშიძემ ჩვენს რთულ დროში გაიმეორა იმ კეთილშობილ წინაპართა გმირობა, რომელთა ზნეობრივი სრულყოფილების მაგალითზე თაობები იზრდებოდნენ და დღესაც იზრდებიან... მისი ქომაგი ის ახალგაზრდა საქართველო იყო, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ გაკვლეული გზით მიდიოდა, ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა და ამაღლებდა. მემედ აბაშიძემ თავისი რაინდული თავგანწირვით უდიდესი ამაგი დასდო აჭარას და მთელ საქართველოს!— სამართლიანად მიუთითებდა მწერალი-აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე.

ჩვენი სამშობლოს მტრების გულში ლახვრის ჩასასობად 1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შემართებით განაცხადა: „ბათუმშიც სცადეს ორი სარწმუნოების ერის— ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს — ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმისი თქმა, რომ მზე ანათებს!"

თუმცა, რა გასაკვირია, რომ ამას ამბობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ღვიძლი შვილი, მკვიდრი წარმომადგენელი ჩვენი სამშობლოს სწორედ იმ უძველესი ისტორიული კუთხისა, რომლის შესახებაც დიდი ილია წერდა: ამ მხარეს „დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია; მას „თითქმის მარტო ეპირა თავისუფალ დროში ქართველთა ერთობისა, სადაც პირველად ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა და „ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული"; ამასთან ერთად, „უწარჩინებულესნი მამანი, სალმრთო-საერთო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს".

მაგრამ ილიას ღრმა რწმენით, „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა".

ილიას დიდი მცდელობის შედეგად, 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სახალხო სკოლა. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარების მიზნით, სკოლის გახსნის წინ, ბათუმში საგანგებოდ ჩასულა ილია ჭავჭავაძე, რის შედეგადაც წარმატებით დაგვირგვინდა ეს დიდი ეროვნული წამოწყება.

აი, სწორედ ილიას მიერ დაარსებულმა ბათუმის ამ პირველმა ქართულმა სკოლამ მოგვცა საქართველოს უძველესი კუთხის— აჭარის უდიდესი შვილი, საქართველოს მთლიანობისათვის თავგანწირული მებრძოლი, ილია ჭავჭავაძის მაღალ ეროვნულ და ზნეობრივ იდეალებზე აღზრდილი მისი სულიერი მემკვიდრე მემედ აბაშიძე!

* * *

გვიან შუა საუკუნეებში იმერეთიდან გადმოსულ აბაშიძეთა დიდგვაროვანი წინაპარი აჭარაში საფუძველს უყრის უძლიერეს ფეოდალურ ოჯახს, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა შემოსვლის შემდეგ ბათუმის სანჯაყ-ბეგები ხდებიან. ასე გაგრძელდა XIX საუკუნის შუა ხანებამდე, როცა სულთანმეჯიდის რეფორმით, იუსუფ აბაშიძეს 1848 წელს ბათუმ-ლაზისტანის სანჯაყ-ბეგობა ჩამოართვა და დაენიშნა მემკვიდრეობით პენსია, აგრეთვე, გამოეყო საკუთარი მიწები. სულთანმა მას არ აპატია ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დგომა, ტრაპიზონში მიაპატიჟა და იქ მოაწამვლინა. სწორედ ბათუმ-ლაზისტანის ამ უკანასკნელი სანჯაყ-ბეგის იუსუფ აბაშიძის ხუთიდან ერთ-ერთი შვილის — იბრაჰიმის ძე გახლდათ მემედ აბაშიძე.

1881 წლიდან ბათუმში ილიას მიერ გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა". ჰაიდარ აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აჭარელთაგან ამ სკოლის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო მემედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს".

მას შემდეგ სიკვდილამდე მემედ აბაშიძეს ილიას გზიდან არ გადაუხვევია!

ბათუმში იგი დაუახლოვდა ილიას მიმდევრებს — ივანე მესხს, გრიგოლ ვოლსკის (პოეტ უმწიფარიძეს), დავით კლდიაშვილს, ლუკა ასათიანს და სხვებს, ხოლო 1899 წლის დამლევიდან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, როცა აქ გაეცნო ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს ვალერიან გუნიას, მას უკვე გზა გაეხსნა უშუალოდ დამოწაფებოდა ერის დიდ მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მემედ აბაშიძის პატრიოტულ და პოლიტიკურ წრთობაზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც წერდა იგი მოგვიანებით: „გასული საუკუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე, და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერიებია როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით. ვიცავდი და ვატარებდი ზემოაღნიშნულ იდეებს რამაც დადებითი შედეგები გამოიღო და სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი კვლავ გაამთელა"...

ერთ ხანს მემედ აბაშიძე იდეურად არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებულ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიის მიემხრო, მაგრამ ადრევე დაშორებია მას: „აღარ მქონდა საშუალება ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთ რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე" — მოგვითხრობს მ. აბაშიძე.

მემედ აბაშიძემ ეროვნული მოღვაწეობა ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებლობით დაიწყო ახალი თაობის პატრიოტული განწყობილებით აღზრდისა და მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს შორის საუკუნეების მანძილზე მტრების მიერ „ჩატეხილი ხიდის" გამრთელებისათვის, რამაც ცალკე ცარისტული ხელისუფლების და ცალკე კიდევ, ხოჯა-მოლების უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული საიდუმლო მიმოწერა მეფის მთავრობის წარმომადგენლებსა და თურქოფილურ ელემენტებს შორის. ისინი არ ისვენებდნენ, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ და ახალგაზრდა პატრიოტ მასწავლებელს აიძულებდნენ ილიასეული ქართული სკოლა მიეტოვებინა, 4-5 წლის მასწავლებლობის შემდეგ, მართალია, მემედ აბაშიძე ჩამოსცილდა პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ მის წინაშე უფრო ფართო სამოღვაწეო ასპარეზი გადაიშალა. კერძოდ, ბრძოლა მუსლიმან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერებისა და მათი ღირსების დაცვისათვის, ამასთან, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და სწავლა-განათლების მისაღებად. ამ საქმეში მთავარ დასაყრდენად მას ქრისტიანი ქართველობა ეგულებოდა.

მემედ აბაშიძისა და მის გარშემო შემოკრებილ აჭარელთა „მცირე ჯგუფის", ს. გერსამიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეერთებული ძალებით ენერგიულმა და გულწრფელმა მუშაობამ სასურველი შედეგი მოიპოვა, აჭარის მოსახლეობა თანდათანობით დაადგა ეროვნული გამოფხიზლების გზას, გაერკვა ვინ არის მტერი და მოყვარე, პანისლამისტებისა და თურქოფილური ელემენტების სისინს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა".

* * *

მთელი ქართველი ხალხი შეაძრწუნა 1907 წლის 31 აგვისტოს წიწამურთან გასროლილმა ტყვიამ, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა დიდი ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ გლოვასა და მწუხარებას თავისი ხმა შეუერთა მემედ აბაშიძემ, რომელიც ბათუმიდან თბილისში გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშაში წერდა: „ქარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლი

(დასასრული)

თველი მაჰმადიანები, აღშფოთებული ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა, ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად, რომ ამით მაინც შეიმსუბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება".

მემედ აბაშიძე არ დაკმაყოფილდა მარტო ამ დეპეშით და „ნიშადურში" გამოაქვეყნა მიმართვა „სამშობლოს ძმანნო და დანნო!", რომელიც დაწერილია საოცარი ტრაგიზმითა და ექსპრესიულობით, ილიას ფენომენის ღრმა გააზრებით, ქართული სიტყვის განსაკუთრებული შეგრძნებითა და ფრთიანობით, ფორმის ორიგინალობით. მემედ აბაშიძემ გამოიყენა მანამდე უჩვეულო ხერხი: ილიას სამარიდან აალაპარაკა ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის დაკარგვით გულმოკლული სამშობლო, რომელიც ამგვარი ცხარე ცრემლებითა და წყევლა-კრულვით მიმართავს ილიას მკვლელებს — ბოროტ ავაზაკებს: „... თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!.. თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არემარისა!.. თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!... თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომხადეთ მანთებით ორივე თვალები!... ამომგლიჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალათმა. აწ ძალ აღარ მიძს! დასტკბი ჩემი სისხლითა, გაიხარეთ სამშობლოს მტრებო!".

... რა იცოდა ამ სიტყვების ავტორმა თუ იგივე მუხანათნი და ავაზაკნი ზუსტად 30 წლის შემდეგ მასაც ტყვიით განგმირავდნენ და ვერ გაიგებდნენ მის ცხოვრებას, მის მიმართულებას, ხოლო სიცოცხლეში ძეგლის აგების ნაცვლად ზედმეტ ჩირქს მოსცხებდნენ!!!

მემედ აბაშიძეს ჯერ კიდევ 1899 წელს მოუხდა პირველი შეტაკება მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთან — ბათუმის ოლქის უფროსთან სლავოჩინსკისთან, რის გამოც დაუწყეს სასტიკი დევნა და მას შემდეგ მთელი სიცოცხლე გრძელდებოდა მისი რეპრესიები. 1904-05 წლებში განიცდიდა სასტიკ შევიწროებას ბათუმის გუბერნატორ ფონ-პარკაუს და შემდეგ რომანოვსკისაგან. 1908 წელს ქ. ბათუმში მოვიდა საიდუმლო ბრძანება მ. აბაშიძის დატუსაღებისა და შორეულ გუბერნიაში მთელი მისი გვარის გადასახლებისა. ამიტომ იგი იძულებული გახდა ოჯახით ზია, რიზა და ფეზლი აბაშიძეებთან ერთად ოსმალეთში გაქცეულიყო. საზღვარზე გადასვლისას ოსმალეთის მთავრობამ როგორც რევოლუციონერები და სოციალისტები, ყველანი დაატუსაღა და ჯერ ხოფას ციხეში ჩაამწყვდია, შემდეგ კი ათინას ციხეში გადაიყვანეს, აქედან რიზეში, ხოლო ბოლოს ტრაპიზონის ციხე მიუჩინეს საცხოვრებელ ადგილად, სადაც დაჰყო ერთი წელი... ე. წ. „ახალგაზრდა თურქების" გადატრიალების შემდეგ სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად ისიც გაათავისუფლეს, ოღონდ ოსმალეთში მაინც დატოვეს 1913 წლამდე. აქ იგი მთელ თავის ოჯახთან ერთად განიცდიდა ყოველმხრივ შევიწროებასა და მატერიალურ უსახსრობას, რის გამოც დაკარგა ორი ვაჟიშვილი ქმალი და ბექირი... დიდი გაჭირვებით მ. აბაშიძე დაბრუნდა სამშობლოში. მაგრამ 1913 წელსვე მეფის ჟანდარმერიამ შეიპყრო, რამდენიმე ხნით ბათუმის ციხეში ამყოფეს, შემდეგ კი ნოვოჩერკასკში გადაასახლეს... აქედანაც მოახერხა მან წამოსვლა და ცოტა ხანს ბათუმში ცოლშვილის მონახულების შემდეგ თბილისში გამოემგზავრა, აქაც პოლიციამ თავის სამმართველოში რამდენიმე თვე პატიმრობა მიუსაჯა, რის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს და ბათუმში გამოუშვეს.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას მ. აბაშიძე კვლავ დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში გადაავზავნეს, სადაც ერთი წლის პატიმრობის შემდეგ ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს. აქედან დიდის თხოვნითა და ვაი-ვაგლახით კვლავ თბილისში მეტეხის ციხეში დააბრუნეს, საიდანაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გამოუშვეს.

მემედ აბაშიძე მაინც არ წყვეტს რევოლუციურ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოღვაწეობას, რისთვისაც როგორც სულ უკანასკნელ ხანს გამოირკვა, იგი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს ბერლინში 1918 წლის 10 სექტემბერს თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოებია.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მემედ აბაშიძეს მოეხსნა მეფის რეჟიმის მიერ დაწესებული სასჯელი და ნება დაერთო თავისუფლად საცხოვრებლად დაბრუნებულიყო ბათუმში.

1917 წელსვე მემედ აბაშიძემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველ მუსლიმანთა მოწინავე ახალგაზრდობა: სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შარვაშიძე, ხასან ვარშანიძე, ჯემალ ქიქავა და სხვები და დაარსა ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, რომლის „მიზანი — წერს მ. აბაშიძე ავტობიოგრაფიაში — მრავალი იყო, უმთავრესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ გაგვეგრძელებია თვითშეგნების შეტანა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში, ფართოდ გაგვეშუქებია მასების წინაშე სამუსლიმანო საქართველოს ისტორიული წარსული, გაგვემტკიცებია მათში მთლიანი საქართველოს იდეა, და საზოგადოდ მზად ვყოფილიყავით ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაშორებლად".

ამავე დროს მემედ აბაშიძე დაუპირისპირდა ბათუმში მოქმედ ბაქოს თურქოფილური იდეების გამავრცელებელ ე. წ. საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას. მემედ აბაშიძის ენერგიული მოქმედების წყალობით თურქოფილების ე. წ. საქველმოქმედო მოღვაწეობას ბათუმში ფრთები შეეკვეცა და, სხვათა შორის, არა მარტო ბათუმში, არამედ ზემო აჭარაშიც, სადაც 1918 წელს ჯემალ ხიმშიაშვილი ოსმალეთის დასახმარებლად აჭარლების რაზმს ადგენდა. მემედ აბაშიძემ შეძლო ჩაეშალა ეს გეგმები.

1918 წელს ხელილ-ბეგის თავმჯდომარეობით, ბათუმში ჩამოვიდა ოსმალეთის საზავო დელეგაცია, ხოლო შემდეგ ენვერ-ფაშა. „გამარჯვებით დამთვრალ და ზვიად მთავარსარდალ ვეხიბ-ფაშას შემეცნებაში იხაზებოდა ახალი გეგმები" — წერს მ. აბაშიძე და განაგრძობს: „მე მივესალმე მათ როგორც სტუმრებს და ხალხის სახელით ვთხოვე სისხლისღვრის შეწყვეტა. ამით დავიმსახურე მათი გულისწყრომა, რის შემდეგაც მე, ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ ეფენდი სირბილაძე, სულეიმან ბეგ ბექანიძე და ხასან ლორთქიფანიძე დაგვატუსაღეს და გადაგვგზავნეს ტრაპიზონში". მემედ აბაშიძემ აქედანაც მოახერხა გამოქცევა და ზღვით დაბრუნდა ფოთში, სადაც მას დახვდა და უმეგობრა მომავალმა დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ამასობაში თბილისში ზია აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ჰაიდარ აბაშიძისა და ყადირ შარვაშიძის თაოსნობით დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად დადგენილი ჰქონდათ მემედ აბაშიძე, ოღონდ, ელოდებოდნენ ტრაპიზონიდან მის დაბრუნებას. კომიტეტს თავისი განყოფილება გაუხსნია ოზურგეთში.

ოსმალეთის ჯარების ბათუმიდან გასვლისა და მათ ნაცვლად ინგლისელების შემოსვლის შემდეგ, სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი თბილისიდან ბათუმს გადავიდა და აქედან გაშალა ფართო მუშაობა. საჭირო იყო საკუთარი ორგანოს დაარსება. მართლაც, მ. აბაშიძის ინიციატივით და რედაქტორობით მალე გამოვიდა კომიტეტის გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", რომელმაც დიდი როლი შეასრულა აჭარაში ინგლისელების აღმოსავლური პოლიტიკის, მეფის რუსეთის მოტრფიალე დენიკინის ნაწილების, თურქოფილი მუსავატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცალ-ცალკე და თავისებური ხრიკებით ყოველნაირად ცდილობდნენ საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს გათიშვას.

აჭარის მეჯლისის (იგივე პარლამენტის) თავმჯდომარეობის გარდა, მემედ აბაშიძე 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პარლამემენტის წევრად.

ცალკეა აღსანიშნავი მემედ აბაშიძის ღვაწლი სომეხ და თურქ-მუსლიმან მოსახლეობას შორის გამწვავებული სიძულვილის განელებასა და მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად, რითაც ბათუმის ოლქი აცდა ამ სამარცხვინო საქმეს.

• • •

1921 წლის თებერვალში თბილისში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბათუმში მეჯლისის თავმჯდომარესთან მემედ აბაშიძესთან თურქეთის მთავრობის დელეგაცია გამოცხადდა და წინადადება მისცა გადაესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოეტანა დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის მთავრობას, მითუმეტეს, რომ ბრესტლიტვის საზავო პირობების მიხედვით, ართვინის ოლქი უკვე წაღებული ჰქონდა თურქეთს. საქმეს ართულებდა აჭარაში ჯემალ ხიმშიაშვილისთანა თურქოფილების ანტიქართული მოქმედებაც. მემედ აბაშიძეს გვერდში ამოუდგნენ რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა, ისქენდერ ცივაძე, ზია აბაშიძე, მამედ გოგიბერიძე, ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე. თურქეთის სამთავრობო დელეგაცია კი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ელჩი ქააზიმ ბეგი, დაჟინებით მოითხოვდა აჭარის მეჯლისს გამოეტანა დადგენილება ბათუმის ოლქის თურქეთთან შეერთების შესახებ. რაც ფორმალურად მათ საშუალებას მისცემდა შემოეყვანათ რეგულარული სამხედრო ნაწილები და თავიდან აეცილებინათ ბოლშევიკების შემოჭრა აჭარაში.

მემედ აბაშიძემ, როგორც აჭარის მეჯლისის თავმჯდომარემ მათ განუმარტა, რომ მეჯლისს არ აქვს უფლება ოლქი მეორე სახელმწიფოს გადასცეს და არ შეუძლია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება: „კამათმა გამწვავებული ხასიათი მიიღო და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს" — წერს მემედ აბაშიძე და განაგრძობს: „ანგორის დელეგაციის ცდა ამაო გამოდგა. მეჯლისი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესს, არ მიიღო მათი წინადადება... თორემ ბათუმის ოლქი დარჩებოდა ართვინის ოლქის მდგომარეობაში", ე. ი. ბათუმიც და აჭარაც დღეს დაკარგული გვექნებოდა!

ამგვარად, მოხდა ისტორიული ფაქტი. აჭარის მეჯლისმა მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით შეძლო ამ საშინელი მდგომარეობიდან საქართველოს ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხის გამოყვანა და გადარჩენა. მემედ აბაშიძემ მისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულა!

მემედ აბაშიძემ ხმამაღლა განაცხადა:

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა...

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია!

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!".

მემედ აბაშიძემ ღირსეულად დაიცვა თავისი დიდი სულიერი მოძღვრის ილია ჭავჭავაძის იდეა საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობისა!

ვიაროთ ჭავჭავაძის და აბაშიძის გზით!

გურამ შარაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

აჩრდილი დადის საქართველოში...

ამ ასორმოცდაათი წლის წინათ, მარქსმა და ენგელსმა კომუნისტური პარტიის მანიფესტი რომ გამოაქვეყნეს, კომუნიზმის აჩრდილი ევროპაში კი არა, მხოლოდ მათ გონებაში დადიოდა, მაგრამ ნათელხილვა ახდა (ის სხვა საქმეა, „აჩრდილი" რად ექცა ევროპას და მთელ მსოფლიოს). დღესაც წარმატებით შეიძლება წინასწარმეტყველება, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით: აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კომუნიზმისა (თუ უფრო რეალისტები ვიქნებით, უმჯობესია ვთქვათ, უბრალოდ კი არ დადის, კარგა გვარიანად დააბიჯებს).

როცა 1991 წლის 26 აგვისტოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალა კომუნისტური პარტიის საქმიანობა, ხოლო მისი ქონება ნაციონალიზებულად გამოაცხადა. როცა პარტბილეთების პიაკოკონები აციხკროვნებდა მთავრობის სასახლისწინა მოედანზე ხალამობით ჩამოწოლილ ბინდბუნდს, ბევრმა დაიჯერა, რომ კომუნიზმის მზე სამუდამოდ ჩაესვენა იბერიის ცის კაბადონიდან.

არ ყოფილა ასე.

საკმარისი აღმოჩნდა სულ 4-5-წლიანი სუსხი და აჩრდილმა დავიწყებიდან გადმოაბიჯა, ქუჩა-მოედნებზე გაინავარდა და სიცივით გაფიჩხულ, შიმშილით ხერხემალზე ჭიპმიკრულ მოქალაქეებს შეახსენა, რომ კომუნისტების დროს სითბოც იყო, საჭმელიც და არც ამდენი ყაჩაღ-მამაძაღლი დათარეშობდა. მკვდარზე ან კარგი, ან არაფერიო, ნათქვამია. ჰოდა, გარდაცვლილი სოციალიზმიც მხოლოდ სარეკლამო სილუეტით ეცხადება სასოწარკვეთილ მოსახლეობას.

აღმოჩნდა, რომ იმ პიაკოკონებს არც იმდენად ბევრი პარტბილეთი შთაუნთქავს... და თუმცა ჯერ ოფიციალურად უზენაესი სასამართლოს 1991 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა, მაგრამ კომპარტია, როგორც იტყვიან, ცოცხლობს და მოქმედებს. ის კი არა, ერთის მაგივრად — ორი: საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და საქართველოს კომპარტია, თავიანთი გაზეთებით „კომუნისტითა" და „კომუნისტური პარტიით"...

საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიაში, მისი ხელმძღვანელობის განცხადებით, 100 ათასზე მეტი წევრია (ცნობისთვის: 1989 წელს საქართველოს კომპარტიაში 415 ათასი კომუნისტი ირიცხებოდა). საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შექმნილია 1000-ზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მაგალითად, პირველადი ორგანიზაცია მოქმედებს გორის რაიონის 30 სოფელში). ჯერჯერობით ძალაშია ძველი სკკპ ბილეთები. მაგრამ, 2 ათასამდე ახალი წევრიც ჰყოლიათ, რომლებსაც მალე დაურიგდებათ ახალი ნიმუშის პარტბილეთები.

საქართველოს ერთიანი კომპარტია (სეკპ) თავისი ბიოგრაფიის ათვლას 1994 წლის 25 ივნისიდან იწყებს — მანამდე ცალ-ცალკე არსებული კომუნისტთა კავშირის, მშრომელთა კომუნისტური პარტიის (მისი ნაწილის) და პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის" გაერთიანებული ყრილობიდან.

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კომუნიზმისა...

— **კომუნისტები** აუცილებლად დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, —მითხრა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ, გენერალმა **პანტელეიმონ გიორგაძემ,** — დღეს კომუნისტებს მხარს უჭერს რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალოდ 35 პროცენტი, მაგრამ არის რაიონები, სადაც ჩვენი მხარდამჭერია 80-95 პროცენტი — ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, მარნეული, ბოლნისი, სამტრედია, ლაგოდეხი, გორი... დღევანდელი რეჟიმი ობიექტურად მარქსისტებს გვეხმარება: ის, რაც დღეს არის, კაპიტალიზმი არ გახლავთ, რაღაც პირველყოფილი, მხეცური კაპიტალიზმია, რასაც საშინელება და ნგრევა მოაქვს. განვითარებული, ცივილიზებული კაპიტალიზმი, ძალზე დიდხანს ვერ დამკვიდრდება ვერც საქართველოში და ვერც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ბურჟუაზიულ რეჟიმები, რომელთა განხორციელებაც სურთ, ვერ მუშაობს და კიდევ დიდხანს ვერ იმუშავებს, რამდენმა ხალხმა უკვე იხილა რა არის სოციალიზმი, ადამიანებს თავებში აქვთ ჩადებული სოციალიზმი და ამას ასე იოლად ვერ ამოშლი. ვერ ამოშლი იმ სიკეთეს, რაც სოციალიზმს ჰქონდა: ადამიანი დაცული იყო, ადამიანი მარტო არ იყო, მასზე სახელმწიფო, სისტემა ზრუნავდა. ავად თუ კარგად, მაგრამ ზრუნავდა. ადამიანს ჰქონდა გარანტირებული სამუშაო, უფასო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, თითქმის უფასო ბინა... რაც მთავარია, ადამიანები თანასწორუფლებიანები იყვნენ. ისე რომ, სოციალიზმი, რაც უნდა აგინონ, ასე იოლად ვერ გამოვა ადამიანთა შეგნებიდან, სოციალიზმის იდეა უკვდავია. ის უნდა დაბრუნდეს და დაბრუნდება კიდეც!

— თქვენ ფიქრობთ, რომ იმის რესტავრირებას შეძლებთ, რაც იყო? მაგრამ ასეთი რამ ხომ არ ხდება? ნათქვამია, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო.

— რაც იყო, იმას სრული სახით ვეღარ აღვადგენთ, ეს შეუძლებელია, არ გამოვა, არც არის საჭირო და არც ვცდილობთ. ჩვენი მიზანია შეცდომებისგან განთავისუფლებული, ახალ ვითარებასთან შეგუებული სოციალიზმი.

— მაგრამ თქვენ ხომ კვლავ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ებღაუჭებით?

— კი არ ვებღაუჭებით, უბრალოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები იმდენად ცხოველმყოფელია, რომ მათი უარყოფა არ შეიძლება.

— განა სტალინური მოდელის სოციალიზმი ვინმესთვის შეიძლება დღეს მიმზიდველი იყოს, თუნდაც იმ საშინელი რეპრესიების, განუკითხავი უკანონობის გამო?

— სტალინი სოციალიზმს საგანგებო ვითარებაში საგანგებო მმართველობით აშენებდა, ამიტომ ხდებოდა დამახინჯებები, მაგრამ, ამავე დროს სტალინმა თვით იდეა სოციალიზმისა ახალ მწვერვალზე აიყვანა...

— ვთქვათ, არჩევნებში გაიმარჯვეთ, რით დაიწყებთ, რის გაკეთებას აპირებთ ამ საყოველთაო ნგრევის პირობებში?

— დავიწყებთ წესრიგის დამყარებით, უსასტიკესი წესრიგის დამყარებით, რათა ყოველმა მოქალაქემ იგრძნოს, რომ მას სახელმწიფო იცავს.

— ისევ ხიშტით, ისევ ადმინისტრაციული ორგანოების დიქტატურით?

— კანონის დიქტატურით!

— კანონის დიქტატურის აუცილებლობაზე დღევანდელი ხელისუფლებაც ლაპარაკობს...

— მარტო ლაპარაკობს. საქმეს არ შველის, კანონის დიქტატურის მექანიზმია შესამუშავებელი.

— თქვენ უკვე გაქვთ ეს მექანიზმი შემუშავებული?

— ველოსიპედის ხელახალი გამოგონება საჭირო არ არის. ეს მექანიზმი კომუნისტებს ჰქონდათ. ამიტომ წესრიგიც იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამსახური, არმია, სასამართლო და პროკურატურა ფარიც არის და მახვილიც. გააჩნია ვინ, როგორ მოიხმარს ამ იარაღს.

უპირველესი ამოცანაა მოქალაქეთა საყოველთაო განიარაღება. მხოლოდ ჯარისკაცს, პოლიციელს, უშიშროების სამსახურის მუშაკს შეიძლება ჰქონდეს იარაღი, ისიც — უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს. კანონი იარაღის შესახებ გასაუმჯობესებელია. მან უზრუნველყოფა მოგვიტანა. მაგალითად, ავიღოთ მაშველთა კორპუსი. ჩვენ ადრე გვქონდა სამოქალაქო დაცვის სისტემა, იგი ამზადებდა მძღოლებს, სანიტრებს, მოსახლეობას ასწავლიდა ომის პირობებში მოქმედებას. მას ჰყავდა მხოლოდ ერთი სამოქალაქო პოლკი, რომელიც აღჭურვილი იყო ავტომანქანებით, დეზაქტივატორებით, ანტიქიმიური საშუალებებით, სპეციალური ტექნიკითა და სხვა საშუალებებით. არავითარი შეიარაღებული რაზმები ბრძოლის საწარმოებლად ან გზების გადასაკეტად არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. და აი, ამ სისტემაში ჩასვეს მხედრიონი და მას მაშველთა კორპუსი უწოდეს ყოველგვარი კვალიფიკაციის, მომზადების, ატესტაციისა და პროფესიონალიზმის გარეშე. ეს არასწორია სამწუხაროა, რომ ამ მაშველთა კორპუსში იმ ძველი, ნამდვილი მაშველთა კორპუსიდან არც ერთი ოფიცერი და არც ქონება აღარ დარჩა. ჩვენი მოთხოვნაა: მინდობილი საქმის შეუსრულებლობისათვის მკაცრი პასუხისმგებლობა და საყოველთაო მორალური გაკიცხვა, პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში.

კიდევ: არც ერთ პარტიას შეიარაღებული რაზმები და ჯგუფები არ უნდა ჰყავდეს. ჩვენ ამას მივაღწევთ. პარტიები მკაცრად უნდა მოექცნენ კანონის ფარგლებში. პარტიად ჩაითვლება მხოლოდ ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც მხარდამჭერები და თანამოაზრენი ჰყავს რესპუბლიკის რაიონების ნახევარში მაინც და აუცილებლად ავტონომიურ რეგიონებშიც. დავამყარებთ უმკაცრეს სახალხო კონტროლს: საქართველოდან მთელი ეროვნული სიმდიდრე გადის, საყოველთაო ატესტაციის საფუძველზე. გასამრჯებია საბაჟოები, ძალოვანი სტრუქტურები. აი, რის გაკეთებას ვაპირებთ, თუ ხელისუფლებაში დავბრუნდით.

— ბატონო პანტელეიმონ, თქვენ უკვე რამდენჯერმე თქვით „მკაცრ, უმკაცრეს ზომებს მივმართავთ". ჯერ მხოლოდ ემზადებით დასაბრუნებლად და უკვე ამდენ სიმკაცრეს გვპირდებით. ფიქრობთ, ხალხი მხარს დაგიჭერთ?

— დაგვიჭერს! ხალხს ყელში ამოუვიდა განუკითხაობა და შიში. სხვათა შორის, კაცობრიობას სახელმწიფო და მისი ატრიბუტები სჭირდება მკაცრი წესრიგის დასაცავად. სხვანაირად სახელმწიფოს არსებობას აზრი არა აქვს.

— მაშინ საკითხს მეორე მხრიდან შევხედოთ. რამ დაანგრია კომუნისტური სისტემა? — ალბათ, უფრო კომუნისტების სიძულვილმა, ვიდრე ეროვნულმა მოძრაობამ, ეროვნული მოძრაობა ფესვს სწორედ ამ სიძულვილზე ჩაიდგა და გაიმარჯვა, თქვენ უარყოფთ ამას?

— თუ რამ დაანგრია საბჭოთა საქართველო და სსრკ, ეს სხვა საგანია განხილვისათვის. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ 1990 წელს, ეროვნული მოძრაობის პიკის პირობებშიც კი პირველ პარლამენტში კომუნისტებმა 60 კაცი გაიყვანეს...

— ეს მდგომარეობას არსებითად არ ცვლის: მაშინ სსრკ და სკკპ ჯერ კიდევ არსებობდნენ თავიანთი მძლავრი საშუალებებით. ესეც ანგარიშგასაწევია...

— მაგრამ ახლა ხომ აღარც ერთია და აღარც მეორე. ხალხს კი ნოსტალგია აქვს კომუნისტური პერიოდის წესრიგსა და სამართლიანობაზე. იგი მიხვდა, რომ სოციალიზმი, კომუნიზმი არ არის ასე ხელაღებით გადასაგდები. მან უკვე თავის თავზე იწვნია მოპოვებული „თავისუფლების" მწარე შედეგი.

— და მივიღეთ პარადოქსი: კომუნისტური საზოგადოება დაამხო კომუნისტების სიძულვილმა, კომუნისტებს დააბრუნებს მშიერი, დაცულელი და გალატაკებული ხალხის სასოწარკვეთილება. არა სოციალიზმის იდეალები (ხალხმა მშვენივრად იცის ამ იდეალების ფასი ყველა გზით), არამედ — მტკიცე ხელის მონატრება! მაგრამ ეს მონატრება დროებითია, სანამ ქვეყანა დაულაგებელია. შეიძლება ვიწინასწარმეტყველო: წლევანდელ არჩევნებში კომუნისტებმა მართლაც შეიძლება მიაღწიოთ გარკვეულ წარმატებას, მაგრამ შემდგომ არჩევნებში თქვენ საბოლოოდ დამარცხდებით. იმიტომ, რომ ეს ისტორიული კანონზომიერება იქნება.

— ისტორიული კანონზომიერება ჩვენ სხვას გვპირდება. ისტორიული კანონზომიერება სოციალიზმის გამარჯვებაა. ამას უკვე ჩვენ კი არა, საზოგადოების განვითარების ლოგიკა გვიწინასწარმეტყველებს. სხვათა შორის, სოციალიზმის იდეალების სიტკბოც ახსოვს ხალხს.

— მაგრამ სანამ ჩემი ან თქვენი წინასწარმეტყველება ახდება, დღევანდელობას დავუბრუნდეთ. თქვენ გვპირდებით, რომ გამარჯვების შემთხვევაში შექმნით ძლიერ ხელისუფლებას, გაატარებთ მკაცრ ღონისძიებებს ქვეყნის აღსადგენად. საამისოდ მხოლოდ მოწოდებები და სურვილი არ კმარა, ასეთი მოწოდებები და სურვილები არც დღეს გვაკლია, რა ეკონომიკურ საძირკველს დაეყრდნობით?

— სოფლად ყველგან, სადაც კი ხალხი მოითხოვს, აღვადგენთ კოოპერატიულ და სახელმწიფო მეურნეობებს. სახელმწიფო მათ ყოველნაირად შეუწყობს ხელს. ქალაქად: მშრომელთა კოლექტივების მიერ პრივატიზებულ საწარმოებს, ჯერჯერობით, ხელს არ ვახლებთ, მერე —ცხოვრება გვიჩვენებს. მაგრამ სადაც ფარული პრივატიზება მოხდა და თაღლითობამ ჩაიგდო ხელში, მაშინვე აღვადგენთ სამართლიანობას. იქ, სადაც რაიმე სახელმწიფო ქონებაა მითვისებული, უკანასკნელ შპიჯკამდე დავაბრუნებინებთ ყველაფერს. მსხვილი სამრეწველო საწარმოები და სასოფლო მეურნეობები სახელმწიფოს ხელში დარჩება, მაგრამ წვრილი და საშუალო ობიექტები შეუძლიათ საკუთრებაში ჰქონდეთ ჯგუფებს, კოოპერატივებს, ოღონდ მათ სახელმწიფო გაუწევს კონტროლს, რათა არ მოხდეს ადამიანის ექსპლუატაცია. არ შევზღუდავთ პირად ინიციატივასა და პირად საკუთრებას, თუ ის კანონიერი შრომითაა და ნიჭით მოპოვა, კაცს შეუძლია გემი და თვითმფრინავიც ჰყავდეს. აღვადგენთ ყველა დარღვეულ კავშირს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან.

— მარქსიზმ-ლენინიზმი კვლავ სახელმწიფო იდეოლოგიად დარჩება?

— მარქსიზმ-ლენინიზმი პარტიის წევრების იდეოლოგიად დარჩება და არა სახელმწიფოსი. სახელმწიფო იდეოლოგია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე აიგება. დასავლელი მეცნიერების გამოკვლევით, XXI საუკუნე იქნება სოციალური სამართლიანობის საუკუნე, მსოფლიოში დამკვიდრდება სამართლიანობა და ერთობა, როგორც უმაღლესი ფასეულობა. ამით ვიხელმძღვანელებთ. კომუნისტურ პარტია აღარ შეასრულებს სამეურნეო ფუნქციებს. იარსებებს სხვა პარტიებიც, ალბათ, სამ-ოთხი.

— რამდენადაც ვიცი, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის აღდგენას. ეს ხომ ეროვნული ინტერესების, სამშობლოს დამოუკიდებლობის ღალატია.

— ჩვენი პარტია მხარს უჭერს საბჭოთა ხალხების კავშირის აღდგენას ახალ საფუძველზე. დღეს არსებობს დასავლეთ ევროპის კავშირი, ანუ ევროკავშირი. ასეთ კავშირსა და სსრკ შორის არსებითი სხვაობაა. ევროკავშირის სახელმწიფოთა შორის, ფაქტობრივად, საზღვრები (საბაჟო და ა. შ.) უკვე წაშალა. აქვთ უაღრესად მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა. მალე ექნებათ ერთიანი ვალუტა. ევროკავშირის ყველა წევრს ჰყავს ხელისუფლების საკუთარი ორგანოებიც და არის საერთოც — ევროპარლამენტი, ჰყავს საკუთარი შეიარაღებული ძალები და საერთოც — ნატო, მაგალითად, საქართველო ხელშეკრულებას უდებს საფრანგეთსაც და ევროკავშირსაც, მაგრამ, აბა, უთხარით ფრანგს, რომ ის დამოუკიდებელი არ არის! ჩვენ რატომღა გვეშინია ასეთი გაერთიანებისა? დამოუკიდებლობას დავკარგავთ! თუ გერმანია და საფრანგეთი არ კარგავენ თავისუფლებას ევროკავშირში, ჩვენ რატომ დავკარგავთ! ესეც არ იყოს, რა დამოუკიდებლობაა დღეს: ყველგან ინგლისური წარწერები, მაღაზიებში — თურქული და ირანული საქონელი, ფული — რუსული, ტყიბულის ქვანახშირს მოქალაქეთა რაღაც ჯგუფი აკონტროლებს: თვითონ იღებენ, გააქვთ და საზღვარგარეთ ყიდიან, აქ კი ხალხი სიცივით იყინება. ეს არის დამოუკიდებლობა?..

— როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარება?

— ორი აზრი არ არსებობს: აფხაზეთიც და სამაჩაბლოც საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. როგორც კი ხალხთა კავშირის აღდგენა დაიწყება, ამ საკითხის მოწესრიგების პირველი ნაბიჯიც გადაიდგმება და ეთნოკონფლიქტები ჩაქრება. არის მეორე გზაც: ექსტრემიზმზე, სეპარატიზმზე ზემოქმედების მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული სპეციალური ღონისძიებების კომპლექსის საიმედო მოკავშირეების დახმარებით. ჩვენ, კომუნისტები, პირველ გზას ვემხრობით.

— ამბობენ (ამის თაობაზე პრესაშიც ითქვა), რომ თქვენ რუსეთის კომპარტია გაფინანსებთ...

— ჩვენ სიამოვნებით მივიღებდით რუსი, ფრანგი, იტალიელი თუ ჩინელი კომუნისტების მატერიალურ დახმარებას, მაგრამ, საუბედუროდ, არავინ არაფერს გვაძლევს. ჩვენ ღარიბები ვართ. ორიოდ თვეა საწევროების აკრება დავიწყეთ. მაგრამ ბევრი საწევროს სიმბოლურად იხდის — გაჭირვებულია. შეწირულობაც ცოტა შემოდის, ამიტომ პარტიის აპარატში ხელფასზე არავინ მუშაობს. ჩვენში ბევრ პარტიას დამხმარე ეკონომიკური სტრუქტურები აქვს, სპონსორები ჰყავთ, მათ შორის საზღვარგარეთაც, მათ არავითარ ბრალს არ ვდებთ, არც ვაკრიტიკებთ. მაგრამ საწყენია, რომ ჩვენ ჭორს გვივრცელებენ.

— დაბოლოს: რა დამოკიდებულებაა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს, გენერალ პანტელეიმონ გიორგაძესა და საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსს გენერალ იგორ გიორგაძეს შორის?

— როგორც მამასა და შვილს სრული თანხმობა გვაქვს. ჩვენს ოჯახში დემოკრატიაა — ყველა თავისუფალია საკუთარი რწმენა ჰქონდეს და თავისი საქმე აკეთოს, ერთადერთი პირობით — საქართველოს საკეთილდღეოდ.

— ეს გასაგებია, მაგრამ ამბობენ, რომ უშიშროების სამსახურის უფროსი სეკპ-ს განსაკუთრებით მზრუნველობს, ყოველმხრივ ეხმარება, ფაქტობრივად, ერთიანი კომპარტია ამ დახმარებით არსებობს...

— ეს სიცრუე, მორიგი ცილისწამებაა. უშიშროების უფროსი ვალდებულია ყველა კანონიერ პარტიას საქმიანობის სრული თავისუფლება უზრუნველყოს, თუ ეს საქმიანობა საშიშროებას არ უქმნის საქართველოს სახელმწიფოს. მისთვის სეკპ ერთ-ერთი ასეთი რიგითი პარტიაა. ამ დარგში არც უთანხმოება გვაქვს და არც თანხმობა. საპარლამენტო პარტიებს მასთან, როგორც ოფიციალური სამსახურის ხელმძღვანელთან, აქვთ გარკვეული კავშირი, ჩვენ კი, პარლამენტში არ წარმოდგენილ პარტიას, ასეთი კავშირი არა გვაქვს. რატომ მწამებენ ცილს ოპონენტები, იმიტომ, რომ მე მამა ვარ და იგორი შვილი? არავისზე ნაკლები არ გამიკეთებია საქართველოსთვის და, ხანდაზმულობის მიუხედავად, კვლავაც ბევრს ვაკეთებ, როგორც მოქალაქე და კომუნისტმა. ამიტომ ასეთ ცილისწამებებსა და ჭორებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, თუმცა, რა თქმა უნდა, თავისთავად მწყინს. მაგრამ ვინ დარჩა საქართველოში, რომ არ გაკლოთ?!.

კომუნისტები იმედიანად ელიან არჩევნებს. ვერ იტყვი, მათ არც არაფერი დავიწყებიათ და არცარაფერი უსწავლიათ. როგორც ამ საუბრის დროს დავრწმუნდით, ისინი საკმაოდ მოქნილად ადაპტირდებიან დღევანდელობასთან.

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი კომუნიზმისა...

ალეკო ასლანიშვილი.

რუსეთის პრესის სარკეში

შეჯიბრება ომის ფონზე

თავდაპირველად მინდა სიამოვნებით მივულოცო „იზვესტიის" მეგობრებსა და კოლეგებს პროფესიული პრემია და „იზვესტიის" აღიარება 1994 წლის საუკეთესო გაზეთად, მათ შორის, ჩეჩნეთის ამბების ოპერატიული და ობიექტური გაშუქებისათვის. ეს შეფასება მით უფრო პრესტიჟულია, რომ გაზეთს იგი მისცა დამოუკიდებელმა ჟიურიმ, რომელშიც წამყვანი რუსი და უცხოელი ჟურნალისტები შედიან. „გაზეთი ამხილებდა ფაქტებს, რომლებსაც კრემლის ამალა უმალავდა საზოგადოებრიობას", — ნათქვამია დასასრულ ჟიურის დასკვნაში.

„იზვესტია" წელსაც გამოირჩევა თავისი ობიექტურობით, პრინციპულობით, მაღალი ჟურნალისტური ოსტატობით. პირადად მე ყოველთვის აღვნიშნავდი ამ გაზეთის მეწინავეობას, და ამიტომ ვანიჭებდი მას უპირატესობას სხვებს შორის რუსეთის პრესის მიმოხილვისას. მოხარული ვარ, რომ ჩემმა მიკერძოებამ ასეთი ავტორიტეტული გამართლება პოვა.

მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს **„ნეზავისიმაია გაზეტამ"** და **„მოსკოვსკიე ნოვოსტიმ"**. ამ არჩევანსა და რიგითობას შევინარჩუნებ დღევანდელ მიმოხილვაშიც.

„იზვესტიამ" კვლავ მოუსხა მკითხველი სენსაციით **„რუსეთი იარაღს აწვდის ამერიკას"**. მოსკოვში კლინტონის ვიზიტის წინ დაიდო სავაჭრო შეთანხმება, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა პენტაგონი: ამერიკის არმია მიიღებს სუპერთანამედროვე თავდაცვით კომპლექსს, რომელიც განკუთვნილია ბალისტიკური რაკეტებისა და ყოველგვარი სხვა საჰაერო საბრძოლო საშუალებებისაგან, მათ შორის, ე. წ. „უჩინმაჩინი" თვითმფრინავებისაგან თავდასაცავად, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თავისი თვისებების წყალობით ეს კომპლექსი უნიკალურია და შესაძლებლობებით აღემატება ყველა სხვა მსგავს სისტემას.

ქედს იხრიან რა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიღწევათა წინაშე, ამერიკელები გაცილებით უფრო ნაკლებ შეფასებას აძლევენ მთლიანად რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობას. ერთობლივი გამოცემა **„იზვესტია"-„ფაინენშლ ტაიმსი"** აქვეყნებს ანალიზურ სტატიას იმის თაობაზე, რომ საეჭვოა, რუსეთი გახდეს ისეთი სახელმწიფო, როგორადაც სურს დასავლეთს იხილოს იგი. **„რუსეთი არ დაუბრუნდება სახელმწიფო დაგეგმვას, მაგრამ მისი ეკონომიკა შორს იქნება კონკურენტუნარიანობისაგან. იგი არ იგუებს ტოტალიტარიზმს, მაგრამ შეზღუდავს დემოკრატიას; იგი არ წამოიწყებს დამპყრობლურ ომებს, მაგრამ ყოველნაირად შეეცდება შეინარჩუნოს ძლიერება და პრესტიჟი. რუსეთი მუდამ იქნება არცთუ სასურველი მეზობელი: მეტისმეტად დიდია საიმისოდ, რომ შეიძლებოდეს მისი უგულებელყოფა, და ამასთანავე მეტისმეტად — განსხვავებული, მას ხრულად რომ ენდო".**

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ განცხადებებს რუსეთის ზედაფენები არ გაიზიარებენ, რადგან კვლავინდებურად სწადიათ შეინარჩუნონ მათი დიადი სახელმწიფოს შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამას სისტემატურად მოწმობს მის ოფიციალურ პირთა გამონათქვამები. მაგალითად, **„ნეზავისიმაია გაზეტა"** კომენტარს ურთავს ა. კოზირევის გახმაურებულ განცხადებას („მეოთხე ძალოვანი მინისტრი", როგორც იგი მონათლეს ჟურნალისტებმა), რომელშიც იგი დაემუქრა ანონიმ ოპონენტებს, რომ ძალას გამოიყენებს ეთნიკური რუსების დასაცავად ახლო, და შესაძლოა, შორეულ საზღვარგარეთში.

ისევ და ისევ პრესის წყალობით რუსეთის საზოგადოებრიობა გაფაციცებული მოელის კონსტიტუციური სასამართლოს ვერდიქტს ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების გამოყენების კანონიერების შესახებ. ხომ უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: შეესაბამება თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება კონსტიტუციას, და მაშასადამე, **ხომ არ არის ეს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა მთავარი დამრღვევი.** დავსძენ, რომ კონსტიტუციური სასამართლოს ახლად არჩეული წევრებისათვის ეს გამოცდა იქნება არა იმდენად მათი იურიდიული პროფესიონალიზმის გამოცდა, რამდენადაც მათი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის გამოცდა.

რუსეთში წარმოიშვა ახალი პრობლემა, რომელიც სამყრობელოს („დერჟავას") უბრალო მცხოვრებთ აწუხებს. ერთი მხრივ, თუ სახელმწიფოს სურს სამყრობელო იყოს, მაშინ უნდა განამტკიცებდეს თავის შეიარაღებულ ძალებს. სწორედ ამიტომ განიხილავენ ახლა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდებისა და უკლებლივ ყველა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ჯარში გაწვევის კანონპროექტს.

სამხედრო თემამ რუსეთის პრესის ფურცლებზე ერთობ ორიგინალური გაგრძელება პოვა. გაერო სამსახურიდან ითხოვს რუს გენერალ პერელიაკინს, რომელსაც ბრალად ედება კონტრაბანდა და ურჩობა. სარდლობდა რა გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალების „ვოსტოკ" სექტორს ხორვატიაში, გენერალს თურმე აუთვისებია საწვავ-საცხები მასალების უკანონო ბიზნესის ხელოვნება, ამან აავსო გაეროს მოთმინების ფიალა, რომლის წარმომადგენლებიც უკვე დიდი ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კორუფციამ რუსებს შორის უმაღლეს მასშტაბს მიაღწია.

როგორც ჩანს, მოსკოვმა ვერ შეძლო დაეყაბულებინა გაეროს სამდივნო და მიეფუჩეჩებინა საქმე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ისღა დარჩენიათ, სამხედროების გამოსასარჩლებლად მოიშველიონ დიპლომატიური განცხადებები, რომ შანსიანი გენერლის მიმართ წაყენებული ბრალდებების უმრავლესობა სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ მორიგი მსოფლიო სკანდალის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, რადგან ხორვატიის ხელისუფალნი ახლა მოითხოვენ მათი ტერიტორიიდან გაიყვანონ მთელი რუსული კონტინგენტი.

ამასთან დაკავშირებით ძნელია გვერდი აუარო **„მოსკოვსკიე ნოვოსტიში"** გამოქვეყნებულ ბელგიელი მაიკლ ბრანდვაინის „აღსარებას", რომელმაც აღიარა, რომ ჯარების დასავლეთის ჯგუფის ინტენდანტთა სავაჭრო პარტნიორად ყოფნისას დახარბდა აუთვისებელ რუსეთის ბაზარს და არ გაითვალისწინა, რომ „რუსი გენერლები პირადი სარგებლის გარდა არ დაგიდევენ არაფერს! არც საქმის, სახელმწიფოს და არც საკუთარი არმიის ინტერესებს". სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენების და ფინანსურ მაქინაციების მაგალითად ბრანდვაინმა მოიყვანა ოპერაციები ჩვენს „ბორჯომთან" დაკავშირებით, ორგანიზებულ იქნა მილიონი ბოთლის მიწოდება ბელგიიდან 0,87 მარკად, მაშინ როდესაც იმ დროს რუსეთში ბოთლი ბორჯომის წყალი 40 კაპიკი ღირდა. შემდეგ ხორციელდებოდა რაღაც ეშმაკური საბუღალტრო ფოკუსი და სხვების ხარჯზე რჩებოდათ გვარიანი ნაშთი საკუთარი ჯიბისათვის.

კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია კავკასიის ამბები. პოლიტიკოსები ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ სიტუაცია გამოსწორდება და კრძალ, აცხადებენ, რომ მიესალმებოდნენ ურთიერთობის სტაბილიზაციას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, „ნეზავისიმაია გაზეტას" აზრით, თურქეთი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ცნო სომხეთის დამოუკიდებლობა, ჯერაც არ არის თანახმა დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, სანამ სომხეთი არ იტყვის უარს მოთხოვნაზე, ცნონ 1915 წლის გენოციდი. გარდა ამისა, ორივე მხარე იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს, რომლის შესაბამისად თურქებს „ყარაბაღის საკითხი" მიაჩნიათ სომხეთის აგრესიული ზრახვებისა და „რუსეთის ინტერესების" მაამებლობის შედეგად. სომხები კი აცხადებენ, რომ თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს.

საკმარისი იყო ორმხრივი კონტაქტების ტონალობა ოდნავ შერბილებულიყო, რომ ბაქომ მკვეთრი დიპლომატიური დემარში მოიმოქმედა. თურქეთმა მყისვე განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ აპირებს მოხსნას სომხეთის საჰაერო ტერეფნის ბლოკადა, და თუმცა, ეროთათბირს უკვე არაერთგზის გამოუთქვამს ამ პრობლემასთან დაკავშირებით თავისი ოპტიმიზმი, სასურველი ჯერ კიდევ არ გამხდარა სინამდვილე.

ამასობაში კი ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, რუსეთი, ცდილობენ მიიღონ გაეროს მშვიდობისმყოფლური მანდატი. **ალბათ, ძირითადად, პრაქტიკული მიზნებისათვის. აქ წამოტივტივდა „ნავთობის" თემა. თურქეთი წინააღმდეგია, რომ ნავთობსადენი რუსეთზე გადიოდეს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ეწინააღმდეგება მის გაყვანას ირანის ტერიტორიაზე. „საქართველო ჯერჯერობით ელოდება, — წერს გაზეთი, — რა ინტერესები გადაწონის — პოლიტიკური, სტრატეგიული თუ ეკონომიკური, მაგრამ, ამავე დროს, გაურბის რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლას".**

ამერიკის დიპლომატია აყენებს თავის პროგრამას, რომელიც დააახლოვებდა თურქეთისა და სომხეთის პოზიციებს. ბაქო-ერევან-ანკარას ნავთობის „ხიდი", როგორც ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, საუკეთესო ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტა იქნებოდა.

და, დასასრულ, რამდენიმე სიტყვა პირადად ჩემგან. რედაქციაში მოდის გამოხმაურება, სადაც გამოთქვამენ სურვილს გაფართოვდეს განსახილველი გამოცემების წრე. ამას აბრკოლებს ორი მიზეზი. პირველი — პრესის რეგულარული და ამომწურავი მიღების შეზღუდული შესაძლებლობები. ხოლო რაც შეეხება ჩემი „შეზღუდული" საკითხავი წრის მეორე მიზეზს, იგი სუბიექტური და პრინციპულია — მე ქართველი მკითხველის ყურადღებას ვთავაზობ იმ გაზეთებს, რომელთა ობიექტურობისაც მწამს. დანარჩენებს კი მაშინ ვიხსენებ, როდესაც მათ შეიძლება ღიმილი მოგვგვარონ. ამჯერად, სამწუხაროდ, ღიმილის მომგვრელი არაფერი ყოფილა.

იური მოსეშვილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1995 წლის 1 აპრილიდან.
2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შეიმუშაოს და დაამტკიცოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის ნუსხა და მათი წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის ტარიფები.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას, უზრუნველყოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის დაწესებული გადასახადის დროული და სრული ამოღება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 4 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. ეს კანონი შემუშავებულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის საფუძველზე და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. იგი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლიდან სახელმწიფო გადასახადის ამოღებისა და გამოყენების წესს.
2. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადი არაპირდაპირი რესპუბლიკური მიზნობრივი გადასახადია, რომელიც ჩაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში და გამიზნულია ჯანდაცვის რესპუბლიკური პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.
3. ჯანმრთელობისათვის მავნედ ითვლება ის პროდუქცია, რომლის გამოშვება და (ან) რეალიზაცია დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკაში, მაგრამ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და შედეგების აღმოფხვრა დამატებითი სამედიცინო პროფილაქტიკურ-სამკურნალო სამუშაოების განხორციელებას საჭიროებს.
4. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებასა და საქართველოს რესპუბლიკაში მის რეალიზაციაზე წესდება შესაბამისი გადასახადი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში.
5. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადი სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღნიშნულ საქმიანობას ეწევა.

მუხლი 2. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის გადამხდელები

ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის გადამხდელები არიან:

1. საწარმოები და ორგანიზაციები, მათი ფილიალები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და აწარმოებენ ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციას.
2. ყველა იურიდიული, ფიზიკური და სხვა პირი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტის რეალიზაციას ახორციელებენ.

მუხლი 3. დაბეგვრის ობიექტი

დაბეგვრის ობიექტია ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის ღირებულება.

მუხლი 4. დასაბეგრი თანხა

1. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადი განისაზღვრება ცალკეული სახეობის პროდუქციაზე დადგენილი ტარიფების მიხედვით.

მუხლი 5. გადასახადის განაკვეთები, გაანგარიშების და გადახდის წესი

1. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის ნუსხას და გადასახადის ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.
2. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის მწარმოებელი საწარმო დაწესებულ გადასახადს იხდის ყოველთვიურად არა უგვიანეს შემდგომი თვის 25 რიცხვისა. გადასახადის ვადა ფიქსირდება საბანკო გადარიცხვის გაფორმების დღით. ვადაგადაცილებულ თითოეულ დღეზე ირიცხება საურავი გადასახდელი თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით. 100 დღით ვადის გადაცილება ითვლება გადასახადისაგან თავის არიდებად. გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევაში საწარმო ჯარიმდება გადასახდელი თანხის ათმაგი ოდენობით. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს საწარმოს გადასახადის გადახდისაგან.
3. საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის საქართველოში რეალიზაციას, ვალდებულია დადგენილი ოდენობით გადაიხადოს გადასახდელი პროდუქციის რეალიზაციიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. ვადაგადაცილებული თითოეული დღისათვის საურავი განისაზღვრება გადასახდელი თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით. 100 დღით ვადის გადაცილება განიხილება გადასახადისაგან თავის არიდებად. სათანადოდ გაუფორმებელი ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის რეალიზაციის ფაქტის დაფიქსირებისას საქონლის მთელი პარტია იბეგრება, როგორც გადასახადისაგან თავის არიდებისას. გადასახადისაგან თავის არიდებისას საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია ჯარიმდება გადასახდელი თანხის ათმაგი ოდენობით. ჯარიმა არ ათავისუფლებს დაწესებულებას (საწარმო, ორგანიზაცია) გადასახადის გადახდისაგან.
4. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე რეექსპორტით შემომტანი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია ერთი თვის ვადაში გაიტანოს აღნიშნული პროდუქცია საქართველოდან. თუ რეექსპორტით შემოტანილი პროდუქციიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ პროდუქცია, ან მისი ნაწილი განუხორციელებლად აღმოჩნდება საქართველოში, მაშინ შესაბამისი პროდუქციის რეექსპორტით შემომტანი დაწესებულება (საწარმო, ორგანიზაცია) ვალდებულია დადგენილი გადასახადი გადაიხადოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში რეექსპორტით შემოტანილი საქონლის მთელი პარტიისათვის. ასეთ შემთხვევაში საურავის გადახდა და დაჯარიმება ხდება ქვეყნის შიგნით პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევისათვის განსაზღვრული წესით.
5. ჯანმრთელობისათვის მავნე იმ პროდუქციის ხელმეორე რეალიზაციისათვის, რომლის რეალიზაციისათვისაც ერთხელ უკვე გადახდილია გადასახადი წინა რეალიზატორის მიერ და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გადასახადი არ გადაიხდება.
6. ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის დაწესებული გადასახადის ამოღებასა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია. საგადასახადო ინსპექციის ეფექტიანი მუშაობის სტიმულირებისათვის დაწესებულია, რომ გადასახადის ვადის გადაცილებისა და გადასახადისაგან თავის არიდების შემთხვევის დაფიქსირებისას ინსპექციას გადაერიცხება ამოღებული საურავისა და ჯარიმის 50 პროცენტი.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა გადასახადის გადახდისათვის

1. პასუხისმგებლობა ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის გადასახადის გამოანგარიშების სისწორისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში დროულად ჩარიცხვისა და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშების დადგენილ ვადებში წარმოდგენისათვის ეკისრებათ გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
2. საგადასახადო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადასახადის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის სათანადო დაცვის უზრუნველყოფისა და მისი გამოყენებისადმი კონტროლისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 4 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
სამედიცინო გადასახადის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს კანონი შემუშავებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის საფუძველზე და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულ პირთა და დასაქმებულ მოქალაქეთა მატერიალური მონაწილეობის წესს.
2. სამედიცინო გადასახადი არის რესპუბლიკური მიზნობრივი გადასახადი, რომელიც უშუალოდ ირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში და გამიზნულია ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 2. სამედიცინო გადასახადის გადამხდელები

1. სამედიცინო გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა იურიდიული პირი განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე მათი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს ცალკე ბალანსი და ანგარიში საბანკო დაწესებულებაში, მათ შორის ის ორგანიზაციები, რომელთაც ბანკში მხოლოდ ხელფასისათვის აქვთ გახსნილი ანგარიში და ამავე დროს თავად აკავებენ ხელფასიდან სახელმწიფო გადასახადებს. თუ ხელფასიდან ანგარიშსწორება რაიონულ და საოლქო ორგანიზაციაში, რომელიც სხვადასხვა ბიუჯეტზეა, გამგეობის მეშვეობით ხდება, სამედიცინო გადასახადის გადამხდელად ითვლება აღნიშნული გამგეობა;

ბ) ყველა კატეგორიის დასაქმებული მოქალაქე, მათ შორის შტატგარეშე, სეზონურ-დროებით, შეთავსებით სამუშაოზე, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით და ერთჯერად, მოკლევადიან სამუშაოზე დასაქმებული პირები.

მუხლი 3. დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტად იურიდიული პირებისათვის ითვლება მათი ყველა სახის შემოსავალი, რომლის მიღებისთვის აუცილებელია შრომითი დანახარჯები, რომლებიც ანაზღაურდება დადგენილი წესით.
2. ყველა კატეგორიის დასაქმებული მოქალაქის შემოსავალი, გარდა შემდეგი შემოსავლებისა:

— გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია;
— სამუშაოდან გათავისუფლების დროს გამოსასვლელი დახმარება;
— საკომპენსაციო გაცემა (მივლინების დღიური ანაზღაურებანი, სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრების და ჯანმრთელობის დაზიანების გამო ზარალის ანაზღაურება);
— სამკურნალო-პროფილაქტიკური მკურნალობის, გაცემული სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების, რძის და სხვა ღირებულება;
— მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიებისთვის უფასოდ გათვალისწინებული ბინების, კომუნალური მომსახურების, საწვავის, მგზავრობის ღირებულების და სხვა სახის ანაზღაურება;
— უფასო კოლექტიური კვების ღირებულება;
— ორგანიზაციების სოციალური განვითარების სახსრებიდან მიღებული სადილების დოტაციის და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის და დასასვენებელი სახლების საგზურების ღირებულება;
— სხვა სამუშაოზე ან სხვა ადგილებზე მგზავრობის, ტვირთის გადაზიდვის და ბინის ხარჯების ანაზღაურება;
— ფულადი დანამატი და ხელფასის წანამატი, რომელიც გაიცემა დღიური ანაზღაურების ნაცვლად იმ შემთხვევაში, როცა მუდმივი სამუშაოები ხორციელდება გზაში ან აქვს მგზავრობის ხასიათი ან მომსახურების ზონის ფარგლებში სამსახურებრივი მოგზაურობის გამო;
— ხელფასები, რომლებიც მომუშავეებს არ აუნაზღაურდებათ და გადაირიცხება სათანადო ბიუჯეტში ან საქველმოქმედო ფონდებში;
— მაკონტროლებელ ორგანოთა მატერიალური სტიმულირების ფონდიდან გაცემული ანაზღაურებები, რომლებიც იქმნება საფინანსო სანქციებისა და ჯარიმების სახით ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში ჩარიცხული სახსრებიდან;
— საიუბილეო თარიღებთან, დაბადების დღესთან დაკავშირებით ფულადი წახალისება ან წახალისება, რომელიც გაიცემა ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის და სხვა ანალოგიურ შემთხვევაში;
— შეჯიბრებებზე, დათვალიერებებზე, კონკურსებზე საპრიზო ადგილებისათვის ფულადი ჯილდოები;
— წარმოებისაგან მოწყვეტით და მის მიერ სასწავლებლად გაგზავნილი მოსწავლეების (ასპირანტების) სტიპენდიები;
— სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული სტიპენდიები;
— დაზღვევის სახსრებიდან გაცემული დახმარებები და პენსიები.

მუხლი 4. დასაბეგრი თანხა და გადასახადის განაკვეთები

ა) იურიდიული პირებისთვის გადასახადი წესდება მათი შემოსავლებიდან სავალდებულო დანარიცხის წესით. გადასახადი დაერიცხება ყველა სახის შრომით გასამრჯელოს, მათ შორის ხელფასზე დანამატებს, შრომის ანაზღაურების ხარჯზე გაცემული პროდუქციის ღირებულების ჩათვლით, საავტორო ჰონორარს, მატერიალური წახალისების და სხვა ფონდებიდან გაცემული დამატებითი ანაზღაურების თანხებსა და პრემიებს.

სამედიცინო გადასახადი დაერიცხება მთლიანად ხელფასსა და დანამატებს სახელმწიფო გადასახადების (საშემოსავლო და სხვა) დაუქვითავად. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული გაცემების წყაროებს, მუხლებს, გადასახადების საბუთების ფორმებს (საანგარიშო-გადასახდელი უწყისი, პირადი აღრიცხვის ბარათი და სხვა), რომლის მიხედვითაც მოხდა ხელფასისა და სხვა გადასახდელების ანგარიშსწორება.

შრომის ანაზღაურების ხარჯზე გაცემული პროდუქციის ღირებულება შეფასდება სახელმწიფო ან იმ დროისათვის დადგენილი შესყიდვის ფასებით, რაც აღირიცხება შრომის ანაზღაურების შესაბამის უწყისში.

სამედიცინო გადასახადის ოდენობა დადგენილია აღნიშნული ანაზღაურების ფაქტობრივი ოდენობის 3 პროცენტის ოდენობით.

დარიცხვა არ განხორციელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემოსავლებზე.

ბ) სამედიცინო გადასახადს იხდის ყველა კატეგორიის მომუშავე მოქალაქე ყოველგვარი ფიქსირებული შემოსავლიდან, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა. გადასახადი დადგენილია ერთი პროცენტის ოდენობით.

მუხლი 5. გადასახადის გადახდის წესი

1. სამედიცინო გადასახადი მოქალაქეებს ეკვითებათ სავალდებულო წესით დასაბეგრი შემოსავლის მიღებისთანავე და ცენტრალიზებულად გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში დარიცხულ სავალდებულო გადასახადთან ერთად.

არაძირითად სამუშაო ადგილას, შეთავსებით ან დროებით მომუშავეებს სამედიცინო გადასახადი დაექვავებათ ხელფასის (შემოსავლის) გაცემის ადგილას.

მოქალაქეთა მიერ სამედიცინო გადასახადის გადახდისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც გასცემს დასაბეგრ ხელფასს (შემოსავალს). გადაუხდელობის შემთხვევაში საურავის გადახდისათვის პასუხისმგებელია ხელფასის (შემოსავლის) გამცემი.

2. იურიდიული პირები სამედიცინო გადასახადს იხდიან თვეში ერთხელ ხელფასიდან გადასახადების გადახდის ვადებში. გადამხდელები სამედიცინო გადასახადებს იხდიან უნაღდო ანგარიშსწორებით ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე კუთვნილი საგადასახადო თანხის ჩარიცხვით.
3. ბანკში საგადასახადო დავალება გადასახადის გადარიცხვის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს მთლიანად კუთვნილ თანხაზე, ანგარიშზე სახსრების არსებობის მიუხედავად.

გადასახადების გადარიცხვის შესახებ საგადასახადო დავალებებს ბანკი ასრულებს საანგარიშო დოკუმენტების მიღების თარიღის თანამიმდევრობით (ხელფასის მიღების დადგენილი ვადების მიხედვით).

თუ მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული სახსრების მიხედვით შეუძლებელი ხდება საბანკო დაწესებულებების მიერ ერთდროულად ხელფასის, გადასახადებისა და შენატანების გადარიცხვის დაკმაყოფილება, პირველ რიგში გაიცემა ხელფასის თანხა და ხელფასიდან დაკავებული გადასახადები, ხოლო დანარჩენი თანხა გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის ფონდში სამედიცინო გადასახადის სახით.

საგადასახადო დავალებები, ნაწილობრივ ან შესრულებული მთლიანად, საბანკო დაწესებულებაში რჩება და სრულდება გადამხდელის ანგარიშზე სახსრების შემოსვლისთანავე.

4. გადამხდელი ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს ეს საგადასახადო ინსპექციის იმ რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას, სადაც იგი რეგისტრირებულია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა. აღნიშნულ ორგანიზაციაში სალიკვიდაციო კომისიები პასუხს აგებენ სამედიცინო გადასახადის სრულად დაფარვისათვის.

მუხლი 6. საურავის დარიცხვა

1. წარდგენილი საგადასახადო დავალებების მიუხედავად, დადგენილ ვადაში გადაუხდელი თანხა დავალიანებად ითვლება და საურავის დარიცხვით გადაიხდება.

გადამხდელის მიერ საურავი უვადო წესით დაერიცხება დავალიანების თანხას მისი 0,2 პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

2. საურავი დაერიცხება გადასახადის გადახდის დადგენილი ვადის მომდევნო დღიდან.

საურავზე საურავი არ დაერიცხება.

საურავი დაერიცხება:

— საბანკო დაწესებულებებიდან ხელფასის ფაქტობრივად მიღების დღიდან;
— ნაღდი ფულის გადახდის დროს, — ბანკის შესაბამის განყოფილებაში ფულის შეტანის დღიდან;
— ფულის ფოსტით გადაგზავნის დროს ან საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით — ფოსტაში ან საბანკო დაწესებულებაში ფულის შეტანის დღიდან.

თუ გადახდის თარიღი უქმე დღეს ემთხვევა, საურავი ირიცხება უქმე დღის მომდევნო დღიდან.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაარიცხოს საურავი დავალიანების მთლიან თანხას და პერიოდისათვის, რომელიც აღირიცხება ანგარიშსწორების უწყისში. თუ საურავს გადამხდელი არ დაარიცხავს ანგარიშსწორების უწყისის შემოწმების დროს, საურავს დაარიცხავს საგადასახადო ინსპექცია.
4. ვადაგადაცილებული დავალიანების თანხის ამოღება დარიცხული საურავისა და ჯარიმის სახით ხდება გადასახადისათვის დადგენილი უდავო წესით.
5. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის შემოსავალში უდავო წესით ამოიღება დავალიანების ის თანხები, რომლებიც ირიცხება გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე საბანკო დაწესებულებაში.

გადამხდელის ანგარიშზე არსებული თანხის ჩამოწერას დავალიანების, ჯარიმისა და საურავის დასაფარავად საბანკო დაწესებულების საინკასო დავალებების საფუძველზე ახდენს საგადასახადო ინსპექციის რაიონული (საქალაქო) განყოფილება საგადასახადო მოთხოვნის ბლანკზე. ამისათვის გამოიყენება უაქცეპტო საინკასო დავალების ფორმები, რომლებიც შემუშავებულია რესპუბლიკაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

6. სამედიცინო გადასახადის დავალიანება ამოიღება ხანდაზმულობის მიუხედავად.

მუხლი 7. გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და კონტროლი

1. სამედიცინო გადასახადის გამოანგარიშების სისწორისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში დროულად ჩარიცხვისა და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშების დადგენილ ვადებში წარდგენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამხდელ ორგანიზაციებს და მათ თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
2. საგადასახადო ორგანოებს და საბანკო დაწესებულებებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამხდელთა მიერ სამედიცინო გადასახადების მოქმედი კანონმდებლობის სათანადო დაცვისა და მისი გამოყენებისადმი კონტროლისათვის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

ამ კანონით გათვალისწინებული სამედიცინო გადასახადის ოდენობის, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების შეცვლა შეუძლია საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„კომუნალური მეურნეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „კომუნალური მეურნეობის შესახებ“ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
კომუნალური მეურნეობის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

კანონი კომუნალური მეურნეობის შესახებ განსაზღვრავს საბინაო ფონდის, წყალსადენის, კანალიზაციის, თბოენერგეტიკის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, სანიტარიული დასუფთავების, საქალაქო ელექტროტრანსპორტის, გარე განათების, აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციისა და კომუნალური დანიშნულების სხვა სამსახურების საქმიანობას და ამოცანებს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. იგი აწესრიგებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური ექსპლოატაციის, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და კომუნალური დანიშნულების კომუნიკაცია-ნაგებობათა მოვლა-პატრონობის, მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობის საკითხებს.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კომუნალური დანიშნულების სამსახურზე, მიუხედავად მათი კუთვნილებისა.

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობა

საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობა შედგება ამ კანონისგან და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებისგან.

მუხლი 2. კომუნალური მეურნეობის დარგის სამსახურებისა და მომხმარებელთა მოვალეობანი.

კომუნალური მეურნეობის დარგის სამსახურები, მომხმარებელი ორგანიზაციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ფიზიკური პირები ვალდებული არიან დაიცვან კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდებისა და საინჟინრო კომუნიკაციების ექსპლოატაციის წესები და ნორმები.

მუხლი 3. კომუნალური მეურნეობის სამსახურებისა და მომსახურებით მოსარგებლეთა პასუხისმგებლობა

კომუნალური მომსახურებით მოსარგებლე ვალდებულია დაიცვას ეს კანონი და ექსპლუატაციის წესების მოთხოვნები.

ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან კომუნალური მეურნეობის სისტემის ობიექტების დაზიანების შემთხვევაში აანაზღაურონ მიყენებული ზარალი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და ვადებში. აღდგენითი სამუშაოები შეიძლება განახორციელონ კომუნალური მეურნეობის სამსახურებმა ხელშეკრულების საფუძველზე. აღდგენითი სამუშაოების შესრულებისათვის თავის არიდების შემთხვევაში დამზიანებლები იხდიან ჯარიმას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომუნალური მეურნეობის სამსახურების მიერ მომსახურების წესების სისტემატური დარღვევით ან სხვა მიზეზით გამოწვეულ ზარალს მომსახურებით მოსარგებლე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, დადგენილი წესის შესაბამისად, აუნაზღაურებს მომსახურების გამწევი იურიდიული ან ფიზიკური პირი.

რომელიმე ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით საერთო სარგებლობის კომუნალური კომუნიკაციების გადატანის საკითხი შეუთანხმდება კომუნალურ სამსახურს.

მუხლი 4. კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციის საფუძვლები

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოსახლეობის და სხვათა კომუნალური მომსახურება ითვალისწინებს:

1. კომუნალური მეურნეობის სამსახურების სისტემების მშენებლობას, გაფართოება-რეკონსტრუქციას და ინტენსიფიკაციას;
2. წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში სათანადო საექსპლუატაციო პირობების შექმნას;
3. წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული გარემოს სანიტარიული დაცვის მოთხოვნათა უზრუნველყოფას კომუნალური დანიშნულების წყალსადენების სათავე ნაგებობათა, წყალსადენების, გამანაწილებელი ქსელების, საკანალიზაციო-საწმენდ ნაგებობათა და ქსელების, ქალაქის და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარიული დასუფთავების სისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
4. კომუნალური მომსახურების სისტემის და ამ დარგის სამრეწველო საწარმოთა ქსელის მშენებლობას და განვითარებას;
5. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და ყველა დასახლებულ პუნქტში წყალდიდობის საწინააღმდეგო და კომუნალური ობიექტებისათვის წყალდიდობით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებას;
6. დარგის ჩართვას საბაზრო ურთიერთობებში;
7. ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა-გამოყენებას.

თავი II. კომუნალური მეურნეობის სამსახურების სტრუქტურა და ორგანიზაციის წესი

მუხლი 5. კომუნალური მეურნეობის მართვა

საერთო პოლიტიკას კომუნალური მეურნეობის დარგში ახორციელებს კომუნალური მეურნეობის მართვის სამსახური, რომლის კომპეტენციაშია:

1. მომხმარებლების უფლებათა დაცვა;
2. კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციისა და პროგრამის შემუშავება, მათი შესრულების კონტროლი, აგრეთვე ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება;
3. ხელის შეწყობა დემონოპოლიზაციისთვის კომუნალურ მეურნეობაში;
4. სახელმწიფო კომუნალური მეურნეობის საწარმოთა პრივატიზაცია.

მუხლი 6. კომუნალური მეურნეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციის წესი

კომუნალური დანიშნულების ობიექტების სწორ ფუნქციონირებას, საექსპლუატაციო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატივების და წესების მოთხოვნათა შესრულებას, დაქვემდებარებისა და კუთვნილების მიუხედავად, კანონმდებლობის შესაბამისად, კონტროლს უწევენ ადგილობრივი მმართველობის კომუნალური მეურნეობის სფეროს სამსახური და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარიული სამსახურის ორგანოები.

თავი III. კომუნალური მეურნეობის დარგის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 7. კომუნალური მეურნეობის დარგის დაფინანსება

კომუნალური მეურნეობის დარგის ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტის, ექსპლუატაციის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე სხვა წყაროების ხარჯზე. მათი ერთობლიობა ქმნის კომუნალური მეურნეობის ფონდს, რომელიც გამოიყენება დარგის სამსახურების განვითარებისათვის.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის ქონება და მისი გამოყენება

კომუნალური მეურნეობის ქონების პრივატიზაციის საკითხი წყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი IV. კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და ამ მიზნით მიწის გამოყოფა-გამოყენება

მუხლი 9. კომუნალური მეურნეობის ობიექტებისა და ქსელების მშენებლობა-გამოყენება

კომუნალური მეურნობის დანიშნულების ობიექტების (წყალსადენ-კანალიზაციის, თბოენერგეტიკული, სანიტარიული დასუფთავების, კეთილმოწყობის, გარე განათების, საქალაქო ელექტროტრანსპორტის და სხვ.) მშენებლობა, განლაგება, მათი ქსელების სრულყოფა-განვითარება და ექსპლუატაცია ხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და წესების, სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების დამტკიცებული გენერალური გეგმის, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

მესაკუთრენი კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტებს უთანხმებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი მასივების, საწარმოების და სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კომუნალური დანიშნულების ნაგებობების და ქსელების მშენებლობა.

მუხლი 11. კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის მიწის გამოყოფის წესი

კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის, აგრეთვე სპეციალური ზონების შესაქმნელად მიწის ნაკვეთის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში გამოყოფა იმ კომუნალური და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციას, წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი V. პასუხისმგებლობა კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 12. პასუხისმგებლობა კომუნალური მეურნეობის ობიექტების არასათანადო გამოყენებისათვის, ექსპლუატაციის წესებისა და კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის

პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით:

კომუნალურ მომსახურებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაში;

კომუნალური დანიშნულების ობიექტებით სარგებლობის წესების დარღვევაში, თვითნებურ გადაკეთება-ჩართვასა და მოწყობილობის გაფუჭებაში, აგრეთვე კეთილმოწყობისა და გამწვანების ობიექტების დაზიანებაში;

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დარღვევაში;

ეზოების, ქუჩების და მოედნების სათანადო ნებართვის გარეშე გადათხრაში, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვაში, გათხრის ადგილების, აგრეთვე მშენებლობის ან შეკეთებითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ სამშენებლო მოედნების მოწესრიგების ღონისძიებათა უგულებელყოფაში, — ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI. კომუნალური მეურნეობის დარგებით მომსახურების დროს სადავო საკითხების გადაწყვეტა

მუხლი 13. დავის გადაწყვეტის წესი

კომუნალური მეურნეობის მომსახურების დროს წარმოქმნილი დავა წყდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII. საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 14. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1995 წლის 7 მარტი

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
„დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 12—13, მუხ. 240). მე-5 მუხლის „1“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც“ ქვეპუნქტი:

ც) „საგანმანათლებლო დაწესებულებები და სასწავლო დანიშნულების პროდუქცია“.

2. სასწავლო დანიშნულების პროდუქციის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 5 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
„1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავის“ საიუბილეო მედლით დაჯილდოების შესახებ

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოდან ომში ნამყოფი ვეტერანების საგმირო საქმეების აღსანიშნავად და დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

1. დაჯილდოვდნენ „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავის“ საიუბილეო მედლით:

სამხედრო მოსამსახურეები და ნებით დაქირავებული შემადგენლობის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში;

დიდი სამამულო ომის პარტიზანები და იატაკქვეშა ორგანიზაციების მონაწილენი;

სამხედრო მოსამსახურეები და ნებით დაქირავებული შემადგენლობის პირები, რომლებიც დიდი სამამულო ომის პერიოდში მსახურობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში;

პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან მედლებით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“, აგრეთვე პირები, რომლებსაც აქვთ „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ მედლის ან ომის მონაწილის მოწმობა;

ზურგის მშრომელები, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით: „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გმირული შრომისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „წარჩინებული შრომისათვის“, „ლენინგრადის დაცვისათვის“, „მოსკოვის დაცვისათვის“, „ოდესის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, „კიევის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „საბჭოთა იმიერპოლარეთის დაცვისათვის“, აგრეთვე პირები, რომლებსაც აქვთ ნიშანი „ბლოკადის დროს ლენინგრადში მცხოვრები“ ან მედლის მოწმობა „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“;

მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებისა და მათი მოკავშირეების მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში არასრულწლოვან ასაკში იძულებით პატიმრობაში მყოფი პირები;

პირები, რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 9 მაისამდე მუშაობდნენ ზურგში არანაკლებ ექვსი თვის განმავლობაში (მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამუშაო დროის ჩაუთვლელად).

2. აღნიშნული კატეგორიის ვეტერანთა სიების მომზადება და ვეტერანების საზეიმო ვითარებაში დაჯილდოების ორგანიზაცია დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატებს.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 28 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ეკონომიკური სტაბილიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

1994 წლის სექტემბრიდან საფინანსო სისტემისა და ფასწარმოქმნის ძირეული რეფორმის დაჩქარების რადიკალური ღონისძიებების განხორციელების შედეგად საქართველოს რესპუბლიკაში მიღწეულია პირველი დამაიმედებელი შედეგები ფინანსური სტაბილიზაციის სფეროში, დაძლეულია ჰიპერინფლაცია, მყარია გარდამავალი ვალუტის — კუპონის კურსი კონვერტირებადი ვალუტის მიმართ. ამასთან, გასულ პერიოდში დაშვებულია სერიოზული ჩამორჩენები ცალკეული მიმართულებებისა და პარამეტრების მიხედვით. უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების, ძირითადად აქციზებისა და საბაჟო გადასახადის, აგრეთვე გრანტების ხაზით შემოსული რესურსების რეალიზაციიდან ამონაგები თანხების ამოღების მდგომარეობა. 1994 წელს ვერ იქნა დაცული რესპუბლიკაში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარების პროგრამით გათვალისწინებული შეზღუდვები და მათი ღირებულების უდიდესი ნაწილის გადაუხდელობის გამო კიდევ უფრო გაიზარდა რესპუბლიკის დავალიანება თურქმენეთისადმი. არასრულყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების რეორგანიზაციის ღონისძიებები, დასახვეწია და შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლი.

ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების დაჩქარების, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან რესპუბლიკის საფინანსო-ეკონომიკური სტაბილიზაციის 1995 წლისა და 1996 წლის პროგრამების თაობაზე მოლაპარაკებების საქმეში შემდგომი პროგრესის მიღწევის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განახორციელოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ღონისძიებები იმ ანგარიშით, რომ 1995 წლის 1 ივნისიდან დადგენილი წესით გაუქმდება რესპუბლიკაში გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე ყველა სამთავრობათშორისო შეთანხმება, რესპუბლიკის ყველა საწარმო, „საქენერგოს" დეპარტამენტის ჩათვლით, დამოუკიდებლად გააფორმებს და განახორციელებს ხელშეკრულებებს ენერგორესურსების მომწოდებლებთან ყოველგვარი სახელმწიფო გარანტიებისა და ვალდებულებების გარეშე. ასეთ პირობებში ენერგორესურსების მომწოდებლების მიერ ანგარიშსწორების მოკლე ვადებში განხორციელების ან წინასწარ გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში რესპუბლიკის საწარმოებისათვის თავდაპირველი ერთდროული დანახარჯების დასაფინანსებლად გამოსაყოფი კრედიტების საერთო თანხა განისაზღვროს არა უმეტეს 3,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

1995 წლის 1 ივნისამდე საქართველოს რესპუბლიკაში ბუნებრივი გაზის იმპორტი სამთავრობათშორისო შეთანხმებების ხაზით შეიზღუდოს 2 მილიონ კუბ. მეტრამდე დღე-ღამეში.

2. საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

— 1995 წლის 1 აპრილიდან 2 პროცენტიდან 0,5 პროცენტამდე შემცირდეს საჯარიმო სანქციის განაკვეთი გადასახადების გადახდის დაგვიანების ყოველი დღისათვის. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს წინადადება კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის თაობაზე;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები:

ა) საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად საგადასახადო კანონმდებლობაში 1995 წლის 1 ივნისამდე შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას მიენიჭოს დამატებითი უფლებამოსილებანი გადასახადების ხაზით დავალიანებათა სფეროში;

ბ) სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის გარდა სხვა ნებისმიერი ორგანოს მიერ გადასახადების ამოღების პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ.

3. სახელმწიფო სახსრების ეკონომიისა და მათი ხარჯვის კონტროლის განხორციელების მიზნით:

— 1995 წლის 2 აპრილიდან შეწყდეს თბილისის მეტროპოლიტენის სუბსიდირება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, აგრეთვე ამ ბიუჯეტიდან ყველა სხვა ტრანსფერტი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხარჯების დასაფარავად;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაუყოვნებლივ წარმოადგინოს წინადადებები სახაზინო ოპერაციებზე ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

4. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა არა უგვიანეს 1995 წლის მაისისა, უზრუნველყოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შექმნა და ამოქმედება;

— საქართველოს რესპუბლიკის შიგნით ყველა საბანკო ანგარიშსწორება, მათ შორის ბიუჯეტის გადასახადების გადახდა, 1995 წლის 1 მაისიდან განხორციელდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის კუპონებით;

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად განიხილონ და გადაწყვიტონ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად აღებული კრედიტების რეალურ დონესთან მიახლოებული საპროცენტო განაკვეთების შემოღების საკითხი;

— საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად არა უგვიანეს მაისისა შეიმუშაოს და გაატაროს კუპონის გამოყენების არეალის გაფართოების აუცილებელი ღონისძიებები.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გააძლიეროს მუშაობა საგარეო ვალთან დაკავშირებულ პრობლემებზე მათი ცივილიზებული წესით მოგვარების, გაფორმების, რესპუბლიკისათვის ხელსაყრელი პირობების მიღწევის მიზნით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გააქტიუროს მუშაობა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ვალის მართვის, აღრიცხვისა და მომსახურების საქმეში.

6. 1995 წლის 1 ივნისიდან ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად რესპუბლიკის ენერგეტიკული სექტორის რეფორმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკაში ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიაზე განისაზღვროს თავისუფალი ფასები ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელოს ფასების არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლი, რათა გარანტირებულ იქნეს ენერგორესურსების იმპორტისა და მათი რეალიზაციის შიდა ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე თავიდან იქნეს აცილებული მონოპოლიურად მაღალი ფასების დაწესების შემთხვევები.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით უმოკლეს ვადაში მოამზადოს პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის სისტემის წისქვილკომბინატების, პურის ქარხნებისა (საცხობებისა) და პურით მოვაჭრე ობიექტების სტრუქტურული გარდაქმნების დეტალური გრაფიკი და პროგრამა.

8. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტთან დაკავშირებით 1995 წლის 1 ივნისიდან გაუქმდეს საქონლის წარმოებისა და მიწოდების კვოტირების სისტემა.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

— ორი თვის ვადაში განახორციელოს სახელმწიფო აპარატსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ მუშაკთა (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩათვლით) რაოდენობის შემცირება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად და ამასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკებს აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება უმუშევრობისათვის დახმარების მოქმედი სისტემის საშუალებით;

— მართვის რაციონალიზაციისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს სახელმწიფო აპარატის არსებული სტრუქტურის პირველი რეორგანიზაციის განახლებული პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მაკროეკონომიკურ დონეზე ყველა ეკონომიკური და ფინანსური გადაწყვეტილების მიმღები სამსახურების თავმოყრა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროში;

— სახელმწიფო აპარატში (საბიუჯეტო ორგანიზაციებში) მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შენარჩუნებისა და მაღალპროდუქტიული შრომის წახალისების მიზნით ორი თვის ვადაში გადასინჯოს და სრულყოს ხელფასების დღეს მოქმედი მეტად შეზღუდული სკალა;

— სოციალური დახმარების უფრო ზუსტი მიზანდასახულობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ორი თვის ვადაში განახორციელოს დახმარების (შემწეობისა და სხვ.) მიმღებ პირთა დადგენა და ზუსტი აღრიცხვა;

— ერთი თვის ვადაში განიხილოს უიმედო დებიტორული და სხვა სახის დავალიანებების რესტრუქტურიზაციის საკითხი.

10. სახელმწიფო სამსახურისა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ყველა თანამდებობის პირს აეკრძალოს გასცეს (ხელი მოაწეროს) ისეთი თამასუქი და გარანტია (საგარანტიო წერილი), რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამის მიზნებს.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 24 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიურო.

2. დაინიშნოს ბიუროს თავმჯდომარედ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ავთანდილ მარგიანი.

3. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს დებულება და შემადგენლობა (თან ერთვის).

4. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს მუშაობის ორგანიზაციისა და წარმართვისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში სახელმწიფო მრჩეველთა აპარატი, რომელზეც გავრცელდეს სამხედრო მოსამსახურეებისათვის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში დადგენილი სტატუსი.

5. დამტკიცდეს სახელმწიფო მრჩეველთა აპარატის საშტატო განრიგი (თან ერთვის).

6. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს მუშაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტი.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს შექმნილი სტრუქტურების დაფინანსება.

აღნიშნული სტრუქტურების დაფინანსება განხორციელდეს 1995 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფარგლებში.

8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 1 ოქტომბრის № 16 განკარგულებით შექმნილი აგროსამრეწველო კომპლექსის გადაცემა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები იქნეს შეტანილი ზემოაღნიშნულ განკარგულებაში.

აგრეთვე, გადაეცეს ახლადშექმნილ დეპარტამენტს ტექნიკური სამმართველო და მასში შემავალი ინსტიტუტები „დელტა" და „სხივი" შესაბამისი საშტატო რიცხოვნობით და დაფინანსებით, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო სამუშაოებზე გამოყოფილი თანხებით.

9. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებულ სამხედრო მოსამსახურეებზე, მათი ოჯახის წევრებზე გავრცელდეს მომარაგების წესები და ნორმები, ფულადი ანაზღაურება და დამატებითი სახის კმაყოფა, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის პირობები, ნორმები და წესები, რომლებიც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის (სიას და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი).

10. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული სტრუქტურები რადიო და სატელეფონო კომუნიკაციებით, მოწყობილობითა და ტექნიკით.

11. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

— შესაბამის სამინისტროებთან ერთად ათი დღის ვადაში გადაწყვიტოს აღნიშნული სტრუქტურების შენობა-ნაგებობებითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი;

— განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის ტექნიკური შეიარაღებით, სამხედრო სპეციალური სატრანსპორტო ტექნიკით და სხვა მატერიალური რესურსებით დამოუკიდებლად უზრუნველყოფის საკითხი.

12. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ათი დღის ვადაში წარუდგინოს დასამტკიცებლად შესაბამისი დებულება, სტრუქტურა და სხვა დოკუმენტები.

ე. შევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
1995 წლის „18" აპრილის № 120
ბრძანებულებით

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს შემადგენლობა

ავთანდილ მარგიანი — ბიუროს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

რაჟდენ ბიწაძე — ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

პანტიკო თორდია — ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

ნუგზარ საჯაია — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

ნოდარ ნათაძე — საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე;

მიხეილ გვერდწითელი — საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

იგორ გიორგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი;

შოთა კვირაია — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

ვალერი ჩხეიძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე — სასაზღვრო ჯარების სარდალი;

გიორგი თორაძე — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი;

დავით იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ვახტანგ გვარამია — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

მიხეილ გვიშიანი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

გივი ლეკიშვილი — სათაო სამეცნიერო-საწარმოო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

— საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს აპარატის ხელმძღვანელი — მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

— ბიუროს მდივანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
პირადი კანცელარიის ხელმძღვანელი
ჯ. ბერიძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის შექმნის შესახებ

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემის შესწავლის, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების დროული შესრულების, ინვესტიციების მოზიდვის და ამ მიმართულებით საქართველოს სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების უზრუნველყოფის, მისი საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრირების პროცესის დაჩქარების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის და მინისტრთა კაბინეტის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრი.

2. დამტკიცდეს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის დებულება და სტრუქტურა.

3. დაინიშნოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების დარგში **გიორგი ცომაია** ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის დირექტორად.

4. დაწესდეს, რომ:

— ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნასთან დაკავშირებით სატრანსპორტო კომპლექსისა და მისი მნიშვნელოვანი ობიექტების რეაბილიტაციასთან, მოდერნიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები, სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამები და წინადადებები, აგრეთვე ამ მიზნებისთვის გამოცხადებული ტენდერების პირობები ექვემდებარება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის ექსპერტიზას;

— ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემების ცენტრის დირექტორი არის ევროკავშირის რეგიონალური პროგრამა „ტრასეკას" და ტრანსპორტის დარგებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი სახელმწიფოების მიერ დერეფნის მშენებლობისა და განვითარების მიზნით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში გათვალისწინებული პროექტების კოორდინატორი საქართველოს რესპუბლიკაში.

— ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის დაფინანსება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის, მიზნობრივი საფინანსო წყაროებისა და სხვა შეწირულობათა ხარჯზე.

5. შეყვანილ იქნეს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემური ცენტრის დირექტორი გ. ცომაია საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის და რეალიზაციის ხელშემწყობი სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის შემადგენლობაში.

6. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ — ევროგაერთიანების პროგრამა „ტასისის" ეროვნულმა კოორდინატორმა (ი. ბაჩიაშვილი):

— შეიტანოს საქართველოს სატრანსპორტო კომპლექსის პრობლემები „ტასისის" პრიორიტეტული პროგრამების რიცხვში;

— აცნობოს „ტასისის" ხელმძღვანელობას სატრანსპორტო დერეფნის პრობლემების ცენტრის შექმნის შესახებ.

7. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ა. ჩიკვაიძე) მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ევრაზიის სატრანსპორტო პრობლემების ცენტრის შექმნის, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული ცენტრის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით უზრუნველყოფა.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

პოლკოვნიკ ტ. ხითარიშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ზურგის დარგში — შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პოლკოვნიკი ტარიელ ხითარიშვილი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ზურგის დარგში — შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსად.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სტრუქტურაში საორგანიზაციო-საშტატო ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სტრუქტურაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ზურგის, მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში.

2. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

3. შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ორი დამატებითი თანამდებობა:

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურგის დარგში — შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსი;

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქ. გორის № 1 სასწავლო ცენტრის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯილდოებით:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით

გიორგი იუკურიძე — ვიცე-პოლკოვნიკი;
ოთარ პაპელიშვილი — კაპიტანი;
ხვიჩა წულაია — უფროსი ლეიტენანტი;

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

ზაქრო აბუაშვილი — რიგითი;
მირზა ბახილაშვილი — სერჟანტი;
ვასილ ბეშკენაშვილი — სერჟანტი;
შოთა გორგიაშვილი — ლეიტენანტი;
ზურაბ კალანდარიშვილი — კაპიტანი;
პაატა ჯიბუტი — უფროსი სერჟანტი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

გელა ახალბედაშვილი — ზემდეგი;
ვახტანგ ბერკაცაშვილი — მაიორი;
ჯუმბერ გამხუაშვილი — რიგითი;
ვასილ თურმანიძე — სერჟანტი;
შოთა ილურიძე — ლეიტენანტი;
კობა იორდანაშვილი — სერჟანტი;
აკაკი კობაიძე — უფროსი ლეიტენანტი;
დავით კაციტაძე — ზემდეგი;
სოსო ნალიყაშვილი — რიგითი;
დავით ხიხარულიძე — რიგითი;
რევაზ ქაჯაია — ზემდეგი;
ნოდარ შეშაბერიძე — სერჟანტი.

ე. შევარდნაძე.

საპრივატიზებო ბარათების მფლობელთა საყურადღებოდ!

ვაქვეყნებთ იმ სააქციო საზოგადოებათა ნუსხას, რომელთა აქციების 35%-ის პრივატიზება გათვალისწინებულია საბარათო (სავაუჩერო) აუქციონების მეშვეობით საპრივატიზებო ბარათებზე—ვაუჩერებზე:

ყაზბეგის რაიონი

697. „დარიალი" (ყაზბეგის ტურისტული კომპლექსი)	დაბა ყაზბეგი

ყვარლის რაიონი

734. „ყვარელი" (ავტო-მომსახურ.)	ყვარელი, ჭავჭავაძის 72

წალენჯიხის რაიონი

222. „კოლხეთი" (წალენჯიხის ჩაის კ-ტი)	წალენჯიხა, კეცხოველის 6
223. „„ეგრისი" (წალენჯ. ჩაის საწონი ფ-კა)	წალენჯიხა, ქიაჩელის მე-2 შესახვ. 4
224. „ზღვაია" (წალენჯ. ჩაის აგროსამრ. კ-ტი)	წალენჯიხა, დასახლ. ზღვაია
225. „ჯვარის ნავთობპროდუქტი" (წ/ჯვ. კსს)	წალენჯიხა, ჯვარი, გაფრინდაშვილის 16
226. „წალენჯიხა-3" (წალენჯ. № 3 ჩაის ფ-კა)	წალენჯიხა, მარკს. სანაპიროს 26
494. „ჰიდროსპეცმშენი" (ენგურ. სპეც. სამმართვ.)	წალენჯიხის რ-ნი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის 4
495. „ნაკიფუ" (წალენჯიხ. ნაკიფუს ჩაის ფ-კა)	წალენჯიხა, სოფ. ნაკიფუ
496. „ჭალე-ფახულანი" (წალენჯი. ჩაის ფ-კა)	წალენჯიხა, სოფ. ჭალე
497. „ლია" (წალენჯიხ. ჩაის ფ-კა)	წალენჯიხა, სოფ. ლია
498. „ენგური" (წალენჯ. ავტოსატრანსპ. გ-ბა)	წალენჯიხის რ-ნი, ჯვარი, ყაზბეგის ქ.
539. „კონ-კარი" (წალენჯიხის საკონსერვო ქ-ნა)	წალენჯიხა, ხობელიას 2
550. „ჯვარი" (ჯვარის აგროსამრეწვ. კომბინატი)	წალენჯიხა, ჯვარი
575. „სქური" (წალენჯ. სქურის ჩამომსხმ. ქ-ნა)	წალენჯიხა, თბილისის 9
610. „ჯვარი-94" (ენგურჰეს. შშ. მატ. ტექნ. მომარ. ს.)	წალენჯიხა, ჯვარი, რუსთაველის 1

წალკის რაიონი

559. „თრიალეთის რძე" (სამრეწვ.-კომერც. ფ.)	წალკა

წყალტუბოს რაიონი

208. „წყალტუბოს ხორცკომბინატი"	წყალტუბო, მარჯანიშვილის 3
500. „წყალტუბო" (წყალტუ. ღვინ. წარმ. სამრ. კ. ფ.)	წყალტუბო, სოფ. მაღლაკი
548. „საქგუმბრინი" (სამთ. საქგუმბრ. მღარ. სამმ-ლო)	წყალტუბო, სოფ. გუმბრა
567. „სამო" (წყალტუბოს № 2 ჩაის ფ-კა)	წყალტუბო, სოფ. გუმბრა
581. „მერცხალი" (სავაჭრ. ცენტრ. „მერცხალი")	წყალტუბო, ლორთქიფანიძის 4
585. „ავტოტრანსპორტი" (აგრომრეწვტრანს. ასს)	წყალტუბო, სოფ. მაღლაკი
671. „თერნალის ჩაის ფაბრიკა" (წყალტუბოს რ-ნი)	წყალტუბო, სოფ. თერნალი
751. „მუხიანი" (წყალტუბოს მეფრინვ. ფ-კა)	წყალტუბოს რ. სოფ. მუხიანი

დასასრული. დასაწყისი „სრ" № 47.

ჩოხატაურის რაიონი

118. „იზაბელა" (ჩოხატაურის ღვინის ქ-ნა)	ჩოხატაური, გურამიშვილის 2
279. „თიგული" (ჩოხატაურ. № 1 ჩაის ფ-კა)	ჩოხატაური, გურამიშვილის 10
280. „ექსტრა-4" (ჩოხატ. № 4 ჩაის ფ-კა)	ჩოხატაური, ს. ქვენობანი
281. „არომატი" (ჩოხატ. № 2 ჩაის ფ-კა)	ჩოხატაური, მარის 50
282. „ექსტრა-3" (ჩოხატ. № 3 ჩაის ფ-კა)	ჩოხატაური
466. „ტრანსპორტელი" (ჩოხატაურის ასს)	ჩოხატაური

ჩხოროწყუს რაიონი

102. „შენება" (ჩხოროწყუს № 1 ჩაის ფ-კა)	ჩხოროწყუ, სტალინის 3 შეს. 3
103. „სამო" (ჩხოროწყუს № 2 ჩაის ფ-კა)	ჩხოროწყუ, ქებურიას 34
104. „იმედი" (ლესიჭინის ჩაის პ. გ. ფ-კა)	ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე
105. „ლაკადა" (ხაბუმის ჩაის ფ-კა)	ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე
106. „ექსტრა" (ჩხოროწყუს ჩაის ექსპ. კ-ტი)	ჩხოროწყუ, სოფ. ხაბუმე
401. „გემო" (ჩხოროწყუს საკონს. ქ-ნა)	ჩხოროწყუ, წურწუმიას 40
508. „ელექსირი" (ჩხოროწყ. ჩაის კომბინატი)	დ. ჩხოროწყუ
66. „ავტომობილისტი" (ჩხოროწყ. სატრ. საწ.)	ჩხოროწყუ, წულუკიძის 34
727. „რუსთაველი" (ლესიჭინის აგროსამრ. კ-ტი)	ჩხოროწყუ, სოფ. ლესიჭინე

ცაგერის რაიონი

90. „ხვამლი" (ცაგერის ღვინის ქ-ნა)	ცაგერი, რუსთაველის 63

ჭიათურის რაიონი

170. „ჭიათურმანგანუმი" (რგ)	ჭიათურა, სგ. „ჭიათურმანგანუმი"
334 „სამრეწვ.-საწარ. კ-ტი" (ჭიათ. VIII ტრ.)	ჭიათურა, სანზერის გზატკ. 10
335. „საპოვნელა" (ჭიათურ. სახ. სამრ. ფ-მა)	ჭიათურა, 9 აპრილის 99
360. „დარკვეთის სამშენ მასალათა კომბინატი"	ჭიათურა, სანზერის გზატკ. 44
390. „ჭიათურის სატვირთო ა/სატრ. საწარმო"	ჭიათურა, სანზერის გზატკ. 54
436. „სალიეთი" (ჭიათ. სალ. მარმარ. მაღარ. სამმ.)	ჭიათურა, რკინიგზის სადგური
438. „ჭიათურის სამგზავრო ავტოსატრ. საწ."	ჭიათურა, სანზერის გზატკ. ჯრუჭულის ხეობა
453. „ჭიათურმშენი" (№ 8 ტრ. „ჭიათურმშენი")	ჭიათურა, ყაზბეგის 6
594. „ჭიათურის მექანიზაციის სამმართველო"	ჭიათურა, ყაზბეგის 4

ხარაგაულის რაიონი

234. „იმერი" (ხარაგ. სამრ. სავაჭ. ფ-მა)	დ. ხარაგაული, 9 აპრილის 1
235. „მარელისი" (ხარაგ. მარელ- გრეხ. ავეჯ. ფ.)	ხარაგაული, სოფ. მარელისი
454. „ავტოტრანსი" (ხარაგაულის ა. ს. ს.)	ხარაგაული, სოლომონ მეფის 44
590. „უბისა" (ხარაგაულ. უბისის საკონს. ქ-ნა)	ხარაგაული, ს. უბისა

ხაშურის რაიონი

95. „მექანიკოსი" (ხაშურის მექან. ქ-ნა)	ხაშური, 9 აპრილის 98
96. „გორგოტა" (ხაშურ. საფეიქრო-სავალ. ფ.)	ხაშური, ბორჯომის 2-ა
97. „ხაშურის მინის ტარა" (ხაშ. შუშის ქ.)	ხაშური, იმერეთის გზ. 2
229. „სურამის ღვინის ქარხანა" (ხაშ. რ.)	ხაშური, დ. სურამი, აღმაშენებლის ქ.
230. „რექტიფიკატი" (ხაშ. გომის სპირტ. ქ.)	ხაშური, გომი
231. ხაშურ. „სოფლტექსერვ." ნავთ. პრ. მომარ. ბ."	ხაშური, ბექაურის 19
378. „ტრანსპორტი-1" (ხაშურ. სატვ. ასს)	ხაშური, ბორჯომის 6
379. „ხაშურის საკისრების ქარხანა"	ხაშური, სოფ. ოსიაური
425. „მრეწველი" (ხაშურის სამრეწველო კ-ტი)	ხაშური, დ. თავდადებულის 54
426. „მერქანი" (ხაშურის ტარის შემკეთ. სათ. საწ.)	ხაშური, სოფ. გომი

ხობის რაიონი

35. „ხობი" (ჩაის კ-ტი)	ხობი, ქეთევან წამებულის 28
113. „საჯიჯაო" (ხობი, ს. საჯიჯაოს ჩაის ფ.)	ხობის რ-ნი, საჯიჯაო
313. „კოლხიდა" (ხობის საკონსერვო ქ-ნა)	ხობი, ქეთევან წამებულის 135
357. „ხობის ნავთობპროდუქტი" (კსს)	ხობი-ნოჯიხევი, რუსთაველის 59
549. „ნოჯიხევი" (ხობის № 1 ჩაის ფაბრიკა)	ხობი, ნოჯიხევი
579. „ხობის ავტომობილისტი" (ხობ. ა/სატრ. ს.)	ხობი, წერეთლის 27

ხონის რაიონი

13. „კოდარა" (ხონი, „პოლიმერკონტეინერი")	ხონი, მოსე ხონელის 186
70. „ფეიქარი" (ხონის აბრეშ. ძაფსაღ.-საგრ. ფ.)	ხონი, გამარჯვების 58
71. „ამირანი" (ხონის საკონსერვო ქ-ნა)	ხონი, წულუკიძის 7
72. „კოლხეთი" (ხონის ჩაის № 2 ფ-კა)	ხონი, დავით აღმაშენებლის 118
73. „იმერეთი" (ხონის ჩაის კ-ტი)	ხონი, ბაგრატიონის 81
409. „ივერია" (ხონი, სოფ. გუბის ჩაის ფ-კა)	ხონის რ-ნი, სოფ. გუბი
530. „ტრანსპორტელი" (ხონის ა/სატრ. საწ.)	ხონი, ჭავჭავაძის I შესახვ. 2

რესპუბლიკის გარეთ

171. „ივერია" (სამარის ღვინის ქ-ნა)	სამარა, საეროდრომო შ. „სამტრესტი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

პირამიდა, ფარგალი, თვალი

ამერიკელი მასონები

ნიუ-იორკში ხშირად შეხვდებით მანქანას, რომელსაც ასეთი ეტიკეტი აქვს ბამპერზე: ფარგალი და კუთხედი. ვიცოდი, რომ ეს თავისუფალ კალატოზთა ემბლემაა. ისიც ვიცოდი, სად მდებარეობს ნიუ-იორკის შტატის მასონთა ტაძარი, დიდი რუხი შენობა 23-ე ქუჩაზე, მე-6 ავენიუს მახლობლად, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მივდგომოდი ამ თემას, სანამ არ გავიცანი გიორგი მეფისაშვილი, სსრ კავშირიდან გადმოსახლებული, ნიუ-იორკის შტატის ლოჟის ოსტატი. მშობლიური „პატრიოტების“ გამოთქმით — ცოცხალი „ქართველ-მასონი“.

ფილადელფიის მასონთა ლოჟაში — მსოფლიოში უდიდეს მასონთა ტაძარში ექსკურსიის დროს, როცა ჯორჯ ვაშინგტონის ქაფჩს, დაშნას და მასონურ წინსაფარს ვათვალიერებდი, გამახსენდა ინტერვიუს დროს როგორც მიჩვენა „პამიატის“ სკანდალურად ცნობილმა ლიდერმა დიმიტრი ვასილევმა ამერიკული დოლარი და წამოიძახა: „აი, შეხედეთ ამ პირამიდასა და თვალს! ეს ხომ მასონური ნიშნებია!“

ვერაფერი ვუპასუხე.

ამერიკაში კი ყველა მოწაფემ იცის, რომ შეერთებული შტატების მამა-დამაარსებლები მასონები იყვნენ. სწორედ ფილადელფიაში (ბერძნულად — ძმური სიყვარული), შეერთებული შტატების პირველ დედაქალაქში, მასონებმა ჯორჯ ვაშინგტონმა და თომას ჯეფერსონმა 1776 წელს შეადგინეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის მასონურ იდეალებს ემყარებოდა, კაპიტოლიუმის შენობაც მასონური ტაძრის მოდელია; ამერიკის სენატის შიდა მორთულობაც მასონთა დიდი ლოჟების ინტერიერის გამეორებაა; და, ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების გერბზეც და ეროვნულ ვალუტაზეც მასონური ნიშნებია.

დღეს მასონთა ლოჟები შეერთებული შტატების ყველა შტატში არსებობს, მათში 7 მილიონამდე წევრი ითვლება. ამერიკელ მასონთა ნებაყოფლობითი შენატანები მათი ლოჟების ფონდში წელიწადში 450 მილიონ დოლარს უდრის. ნიუ-იორკის ლოჟის ფონდია 3,5 მილიარდი დოლარი.

• • •

ვინ განაგებს მთელ ამ უზარმაზარ თანხებს? იქნებ სწორი არიან საზოგადოება „პამიატის“ ლიდერები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს არსებობს მასონთა საიდუმლო პოლიტბიურო, მილიონებს რომ ახარჯავს თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ხალხურობის დამხობას მთელ მსოფლიოში?

— შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იმართება თავისუფალ კალატოზთა სრულიად ამერიკის კონგრესი. მაგრამ ყველა ლოჟის გამაერთიანებელი ბიუროკრატიული ცენტრი არ არსებობს. მასონები მსოფლიო კონგრესებსაც აწყობენ, რომლებშიც თანასწორუფლებიანი დელეგატები მონაწილეობენ. მაგრამ საიდუმლო მთავრობა — ბოდვაა.

— კონგრესები საიდუმლოდ ეწყობა? უცხო კაცს თუ შეუძლია იქ მოხვედრა?

— ორგანიზაციის წესდებით ეს აკრძალულია. მაგრამ ანალოგიური წესები ამერიკის საერო კლუბებშიც არის, თუმცა არავის აზრად არ მოუვა მათ საიდუმლო საზოგადოებები უწოდოს. მასონები ამბობენ: ჩვენ საიდუმლო საზოგადოება კი არა ვართ, ჩვენ ვართ საზოგადოება საიდუმლოებებით. აშშ მასონთა ლოჟები ქველმოქმედებასაც ეწევიან, მათ აქვთ თავიანთი საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, დავრდომილთა თავშესაფრები, მაგრამ გადასახადებს იხდიან. ეს ტრადიციაა: თუ ორგანიზაცია გადასახადებს იხდის, სახელმწიფო არ ერევა მის საქმეში. ხოლო თუ ის განთავისუფლებულია გადასახადებისაგან, როგორც კომერციული სტრუქტურა, მაშინ ანგარიში უნდა წარადგინოს ყველა თავისი ნაბიჯისა თუ ხარჯის შესახებ.

ამერიკის ლოჟების წევრები ძირითადად პირველ მოახალშენეთა შთამომავლები არიან: ეგრეთ წოდებული Wasp — თეთრკანიანები, ანგლო-საქსები, პროტესტანტები. ამერიკელ მასონთა შორის გერმანელები, ესპანელები, იტალიელებიც გვხვდებიან, მაგრამ მცირე რაოდენობით. ძალზე ცოტანი არიან ლათინოამერიკელები. უცხოელი რომ ამერიკული ლოჟის წევრი გახდეს (დაწერილი კანონი არ არის, მაგრამ ასეთია რეალობა), ის ან ძალზე მდიდარი და დიდგვაროვანი უნდა იყოს (ახლახან ნიუ-იორკის ლოჟაში მიიღეს ირანის შაჰის ნათესავი), ანდა ძალზე ნიჭიერი და არაორდინალური.

• • •

გიორგი მეფისაშვილი მეორე კატეგორიას მიეკუთვნება.

ის არის გიორგი გურჯიევის, XX საუკუნის ცნობილი მისტიკოსის ასოციაციის პრეზიდენტი. გიორგი მეფისაშვილის პაპა გიორგი გურჯიევის მოგზაურობათა თანამონაწილე იყო. როგორც გურჯიევი, მეფისაშვილიც ერთ პიროვნებაში აერთიანებს ექიმს, პოეტს, ფსიქოლოგსა და მისტიკოსს. თბილისში იგი სათავეში ედგა ოკულტისტთა ასოციაციას იმ დროს, როცა ზვიად გამსახურდია, როგორც გიორგი ამბობს, „ჯერ კიდევ არ გამხდარიყო ტირანი“, არამედ კონკურენტ ანტროპოსოფიურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა. გიორგი ნიუ-იორკში 1991 წელს ჩავიდა, თავი გაარიდა გამსახურდიას რეჟიმს. აქ ის მასწავლებლად მუშაობს ლონგ-აილენდის კოლეჯებში და, როგორც განათლებით ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტის კერძო პრაქტიკას ეწევა. ამერიკელი პაციენტები მას, უმთავრესად, წყლულისა და კიბოს შემთხვევებში მიმართავენ, ახალჩამოსული რუსები — რჩევა-დარიგების მისაღებად, თუ როგორ იშოვონ სამუშაო. მე ვიცნობ რამდენიმე ადამიანს, რომლებმაც უმუშევრობას თავი დააღწიეს „მეფისაშვილის მეთოდით“.

გიორგიმ მოსკოვში ლიტერატურის ინსტიტუტიც დაამთავრა (პოეზიის სემინარი ანატოლი ჟუგულინს მიჰყავდა), წერს ლექსებს და ნამდვილ ქართულ ნადიმებსაც აწყობს. მოკლედ რომ ვთქვათ, მეტისმეტად განსხვავდება ტიპური ამერიკელი მასონისაგან — მდიდარი ბიზნესმენის, პროტესტანტის, რესპუბლიკელ-კონსერვატორისაგან.

• • •

— ნიუ-იორკის ლოჟაში ახლახან მიღებული ირანის შაჰის ნათესავი მუსლიმანია. განა მასონი აუცილებლად ქრისტიანი არ უნდა იყოს?

— აუცილებელია აღიარებდე ერთიან ღმერთს. მასონობა ეკლესია არ არის, საძმოა... მასონთა უამრავი ლოჟა არსებობს სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში. მასონთა ლოჟებში ყოველთვის ბლომად იყვნენ მდიდარი და დიდგვაროვანი ირანელები, თურქები, ინდუსები... წესდების თანახმად, თავისუფალ კალატოზთა საზოგადოებაში შეუძლია შევიდეს ნებისმიერი მამაკაცი: თავისუფლად დაბადებული, სრულწლოვანი, გონებრივად და ფსიქიურად ჯანმრთელი, რომელსაც არა აქვს რაიმე მანკიერება, შელახული საკრედიტო ისტორია და ცნობს მასონთა საძმოს იდეალებს და ერთიან ღმერთს.



ნიუ-იორკის შტატის ლოჟის ოსტატი გიორგი მეფისაშვილი.

მასონთა ლოჟაში რომ მიგიღონ, ხელდასხმის სამი საფეხური უნდა გაიარო: შეგირდი, ქვეოსტატი და ოსტატი; საჭიროა უმაღლესი რანგის მასონთა სამი რეკომენდაცია პლუს 45 დოლარი წლიური საწევროსათვის... მასონები, პარტიებისა და ეკლესიისაგან განსხვავებით, არ ეწევიან პროპაგანდას, არავინ ადგენს სარეკლამო პროსპექტებს, არ იზიდავს ახალ წევრებს. სანამ სამ ხელდასხმას გაივლი, კარგად შეგისწავლიან. მასონობის პრინციპია: „არ მიიღონ შეუგნებელი ელემენტი ანდა ცოდვილი და კომუნისტად და წმინდანად არ აქციონ იგი“, არამედ „მიიღონ კარგი ადამიანი და კიდევ უფრო უკეთესი გახადონ“. ლოჟაში მიღების დროს ამოწმებენ: შენ „ტაძრის ასაგებად ვარგისი ქვა ხარ“ თუ ჯერ კიდევ „დაუმუშავებელი ქვა ხარ“. მასონობის სიმბოლო — ფარგალი და კუთხედი — ნიშნავს: „გაზომე შენი ქმედება ფარგლით და შეამოწმე იგი სინდისის კუთხით“.

— კიდევ რა უნდა გქონდეს, გარდა მორალურ-საკრედიტო ღირსებისა?

— უნდა გქონდეს კარგი მახსოვრობა. მასონობა — უძველესი საზოგადოებაა, ძალიან ძველი ტრადიციებითა და რიტუალებით, ამიტომ მსახურებაში, ცერემონიებსა და ხელდასხმაში რომ მონაწილეობა მიიღო, ძველინგლისურზე უნდა დაიმახსოვრო მეტაფორული ტექსტები... ეს ჩემთვის, როგორც „კავკასიური ეროვნების პირისათვის“, ადვილი არ იყო.

— რა მატერიალური სარგებლობა მოაქვს ამ საზოგადოების წევრობას?

— პირველი რანგი ყველაზე დაბალია ლოჟაში. 33-ე, დიდი ოსტატი უმაღლესია. მესამე ხელდასხმით დაწყებული, უფლება გეძლევა შეხვიდე დედამიწაზე არსებულ ნებისმიერ ლოჟაში და ყველგან ძმასავით მიგიღებენ: სადაც უნდა მოხვდე, დაგეხმარებიან და დაგიცავენ. შეხვედრისას მასონი მასონს ცნობს სიმბოლური სიტყვებით, ხელისჩამორთმევით და ნიშნებით. წიგნებსა და ცნობარებში, სადაც აღწერილია მასონთა რიტუალები და ცერემონიები, ერთმანეთის შეცნობის ეს საიდუმლოებანი არ არის.

— ამერიკულ მასონურ ჟურნალებში არ შემიმჩნევია შავკანიანთა ფოტოები.

— ერთი მხრივ, ლოჟების წესდებაში არაფერია ნათქვამი რასობრივ შეზღუდვებზე. მეორე მხრივ, არსებობს საკლუბო ტრადიცია... ხელისუფლებაში კენედის მოსვლის შემდეგ, როდესაც იგი შეუდგა თეთრებისა და შავების უფლებრივ გათანაბრებას, დაიწყო ბრალდებები მასონთა ლოჟების მიმართ სეგრეგაციის ბრალდებით. ახლა შავებს თავიანთი ლოჟები აქვთ, რომლებიც არ შედიან გრანდ-ლოჟის იურისპრუდენციაში.

— წესდებაში ნათქვამია „ნებისმიერი მამაკაცი“. მაგრამ ქალი?

— ლოჟები არ იღებენ ქალებს; მათთვის შექმნეს აღმოსავლეთის ვარსკვლავის ქალთა ლოჟა. ეს ერთგვარი კომპრომისია.

— ლოჟაში ებრაელებს თუ იღებენ?

— ამერიკაში, როგორც ცნობილია, ცნება „ეროვნება“ მოქალაქეობის ტოლფასია და არა ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნება. ლოჟაში შეიძლება მიიღონ ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, ებრაელთა ჩათვლით. მე შევხვედრივარ ამ ეროვნების რამდენიმე ღირსეულ, ცნობილ და ძალზე შეძლებულ წევრს, რომლებიც ლოჟის რიგითი წევრები არიან. მაგრამ, ძირითადი მასა და ხელმძღვანელი პოსტები ანგლო-საქსურია. საბჭოთა ტერმინი „ურია-მასონი“ („ჟიდო-მასონ“) შეერთებულ შტატებში ოქსიმორონი, უაზრობაა თუნდაც იმიტომ, რომ სიონიზმი მასონობას უმთავრესში უპირისპირდება: სიონისტი ემსახურება ისრაელსა და თავის ხალხს და არა მასონთა ინტერნაციონალურ ძმობას.

— და, მაინც, რატომ არის, რომ რუსეთში, „ურია-მასონობის“ იდეის სამშობლოში, ასეთი სიძულვილია თქვენი თანამეგობრობისადმი? ხომ მასონები იყვნენ იმპერატორი პავლე I, დეკაბრისტები, კუტუზოვი, ტურგენევი... ჩვენთან კი, ბევრი, მასონების მიმართ ადრინდებულად ველურ სიძულვილს განიცდის. ორი წლის წინათ ტელეჯგუფთან ერთად ალთაიში ვიყავი, იქ სტაროვერები კრიშნაიტებს „მაცონებს“ ეძახიან, ვინც მათი არ არის, ყველა „მაცონია“.

— ალბათ იმიტომ, რომ რუსეთში მასონობა რადიკალური, სოციალისტური იყო, ფრანგული ნიმუშისა. მაგალითად, იტალიაში მასონთა ლოჟები ასევე ძალზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული პოლიტიკასთან: ისინი გარიბალდის მოძრაობასთან და მაფიასთან ერთად წარმოიქმნენ. შესაბამისად, იქაური ოპოზიცია ასევე მასონობის წინააღმდეგი იყო. ამერიკული მასონობა კაპიტალისტური იყო. ეს თავისებური ბიზნეს-კლუბია, სადაც გარიგებებს თავისიანებს შორის ახდენენ, სადაც ყველაფერი ნდობაზეა აგებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ამერიკაში მასონები იყვნენ ბენჯამინ ფრანკლინი, აბრამ ლინკოლნი, ფრანკლინ რუზველტი, გენერალი მაკარტური, ედგარ ჰუვერი — გამოძიების ფედერალური ბიუროს მამა, სესილ ბლაუნტ დე მილი — ჰოლივუდის მამა. ამჟამად ცოცხალი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდიც მასონია... სწორედ ამ ხალხმა შეძლო მასონური იდეალების ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სახელმწიფო სისტემებში განსახიერება.

— რა როლს ასრულებენ მასონები დღევანდელ ამერიკაში?

— მასონობა ზრდის ამერიკის ჭეშმარიტ პატრიოტებს, რომლებიც ცდილობენ გამოასწორონ საზოგადოების თანამედროვე მატერიალისტური ცნობიერების მანკიერებანი და სნეულებანი. მასონობა ხელს უწყობს ამერიკელთა რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური და სოციალური გათიშულობის დაძლევას. მასონობა აქცენტს აკეთებს თვითშემეცნებასა და თვითსრულყოფაზე და ადამიანის პირად სრულყოფას ჰარმონიულად უკავშირებს საზოგადოების განვითარებას.

• • •

ქართული ნადიმი, რომელსაც გიორგი და დედამისი ტასიკო ბრუკლინში მდებარე თავიანთ სახლში მართავენ ხოლმე, ასევე ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს თვითშემეცნებას და თვითგანათლებას, ყოველ შემთხვევაში, რუსეთელი კაცისათვის. აღმოჩნდა, რომ მოსკოვის რესტორნებში შემოთავაზებული „ქათმის ჩახოხბილი“ და „ხორცის ხაჭაპური“ ისეთივე ოქსიმორონია, როგორც „ურია-მასონი“. პირველი ხოხბისგან უნდა მომზადდეს, მეორე კი ყველისაგან... თუმცა, ნადიმების მიწურულისათვის ამ ხორცის ეტიმოლოგიის დამახსოვრება შეუძლებელია, ვინაიდან გიორგის სუფრა მიჰყავს ქართული ტრადიციის მკაცრად დაცვით; სადღეგრძელოების მცირე წრე 12 ყანწია. მაგრამ, მასპინძელი ამტკიცებს, რომ ეს არაფერია ნიუ-იორკის გრანდ-ლოჟის ცერემონიულ სადილებთან შედარებით, სადაც უკრავს მოკლე კაბებში გამოწყობილ შოტლანდიელთა ორკესტრი და სტვირის ჰანგებქვეშ ხანდაზმული ანგლო-საქსი მასონები ტრადიციულ 42 სადღეგრძელოს ამბობენ.

„და კიდევ, მასონს აუცილებლად უნდა შეეძლოს სმა“, — ამბობს გიორგი. მაგრამ აქ, მგონი, კალატოზ-ინტერნაციონალისტის ხმა კი არ მესმის, არამედ ქართველი პოეტისა.

დიმიტრი რადიშევსკი,
„მოსკოვსკიე ნოვოსტი“.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთში იქმნება მემარჯვენე და მემარცხენე ცენტრისტული ბლოკები

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია „სტაბილურობის“ დეპუტატებს. ამით იგი აგრძელებს ტრადიციულ შეხვედრებს პარლამენტის სხვადასხვა გაერთიანების წარმომადგენლებთან, რომლებზეც განიხილება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობის აქტუალური საკითხები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემები. „სტაბილურობის“ ფრაქციის თავმჯდომარემ ალექსი ალექსანდროვმა აღნიშნა — რუსეთში ამჟამად სულ უფრო მეტი ადამიანი რწმუნდება, რომ ქვეყნის წინაშე პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სტაბილურობის პირობებშიო, რომ კრემლი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში იმედს ამყარებს სწორედ ცენტრისტულ ბლოკებზე, რომლებიც ფრაქცია „სტაბილურობის“ გარდა, აერთიანებენ: ერთიანობისა და თანხმობის პარტიას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანება „იაბლოკოს“ და ზოგიერთ სხვა საპარლამენტო ფრაქციასო. ფიქრობენ, რომ ამ საარჩევნო ბლოკს სათავეში ჩაუდგება რუსეთის აგრარული პარტიის ლიდერი, სახელმწიფოს სათათბიროს თავმჯდომარე ივანე რიბკინი.

თავის მხრივ, რუსეთის მთავრობის მეთაური ვიქტორ ჩერნომირდინი ემზადება მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებში სათავეში ჩაუდგეს ერთ-ერთ მსხვილ ცენტრისტულ პოლიტიკურ ბლოკს. მთავრობის კარგად ინფორმირებული წრეებიდან ცნობილი გახდა, რომ ამ ბლოკს შესაძლებელია პირობითად სოციალ-დემოკრატიული გაერთიანება დაერქვას. ფიქრობენ, რომ იგი გააერთიანებს საზოგადოების ყველა ფენაში რეფორმების მომხრეების ფართო სპექტრს, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები ემზადებიან მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, ცდილობენ შეინარჩუნონ წარმმართველი პოზიციები და წინ აღუდგნენ კომუნისტურ და ნაციონალისტურ ძალებს, შექმნან და ქვეყანაში დანერგონ ამერიკული ტიპის ორპარტიული სისტემა „მემარჯვენე ცენტრისტული“ და „მემარცხენე ცენტრისტული“ ბლოკების შექმნის მეშვეობით.

აღნიშნავენ, რომ ალექსანდრე იაკოვლევიც აპირებს თავის მომხრეთაგან სოციალ-დემოკრატიული ყაიდის პარტიის შექმნას.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ბორის ფიოდოროვმა გამოაცხადა, რომ ქმნის თავის პარტიას „ვპერიოდ როსია“.

ტიმოთი მაკვეის ოფიციალურად დაედო ბრალი

ტიმოთი მაკვეის, ოკლაჰომა-სიტიში აფეთქების მოხდენაში ეჭვმიტანილს, ხუთშაბათს ფედერალურმა სასამართლომ ოფიციალურად დასდო ბრალი ამ საქმის გამო.

მოუსმინა რა გამოძიების, ფედერალური ბიუროს სპეციალურ აგენტს ჯონ ჰერსლის, რომელმაც მოკლედ ჩამოაყალიბა მთელ რიგ მოწმეთა ჩვენებები, მოსამართლე რონალდ ჰაულენდმა დაადგინა, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა შეძლეს განესაზღვრათ „სამხილთა უწყვეტი ჯაჭვი“, რითაც ეჭვმიტანილი დაკავშირებულია შეერთებული შტატების მთელ ისტორიაში ამ უდიდეს ტერორისტულ აქტთან.

ეს ნიშნავს, რომ მაკვეი ახლა ოფიციალურად არის ბრალდებული ამ საქმის გამო, ფედერალური მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებული პროცესის დაწყებამდე მთელ დროს გაატარებს საპატიმროში, და არ ექნება შესაძლებლობა სასამართლომდე განთავისუფლდეს ფულადი საწინდრით.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პოეზია უპირველეს ყოვლისა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ყველა ქართველის გასაგონად

გულში სირცხვილი არ ჩაგვრჩეს დაღად,
დე, გვისუსხავდეს გრიგალი სახეს...
ყველაზე ნათელს, ყველაზე მაღალს
ქართველის სახელს გავუფრთხილდეთ,
ქართველის სახელს!

მწვანე მთებს შავი ფიფქები ათოვს,
მდინარე მღვრიე ჩქერით ივსება...
ყველაზე წმინდას, ყველაზე სათუთს
ერის ღირსებას გავუფრთხილდეთ,
ერის ღირსებას!

შუქად გამრთელდი, სულო დაჭრილო,
ჭირს აღარ შეგვასწროს ღმერთმა მეტს...
თუ გვსურს, რომ ერი გადავარჩინოთ
ერთმანეთს გავუფრთხილდეთ,
ერთმანეთს!

ხევი დააკლდა ძნასაც, კალოსაც,
ჩვენი რთველიც ხომ აღარ რთველობს...
ჩვენს პირველ საფიცარს, ჩვენს პირველ სალოცავს
საქართველოს გავუფრთხილდეთ,
სა-ქარ-თვე-ლოს!

25.III.95წ.

ნოდარ ზამბახიძე

ვერ დატოვებ

საქართველო დატოვე და
უცხო მხარეს გაიმინდვრე.
საქართველოს ვერ დატოვებ,
სანამ ცოცხლობ, სუნთქავ
ვიდრე,
გაეშორე სამშობლოს და
ცხრა ზღვის იქით დაემკვიდრე,
სამშობლოს ვერ გაშორდები,
მკერდში გული გიცემს ვიდრე.
სანამ ფიქრი შეგიძლია,
შენი გონი სანამ გონობს,
როგორ გაძლებ უთბილისოდ,
უსამგოროდ, უდიდგოროდ...
შეიძლება ყველა ტკივილს
შეებრძოლო გაურჩებით,
მშობლიური მიწის ყივილს
ვერასოდეს გადურჩები.
ფულის მოხვეჭ-მოხვეჭაში
გაიწვრთნები, გაიქნები,
იქნებ იქნე უმდიდრესი,
ბედნიერი არ იქნები.
იქნებ ტახტზეც ახტე სადმე,
მეფე გახდე სხვათა ერის,
ფიქრთან ვერას ვერ გახდები,
ვერ გახდები ბედნიერი.
მამა-პაპის სამარეთა
დაგაწვება ყველგან სევდა,
არასოდეს დაგაძინებს,
რაც აკვანში დაგებედა.
არასოდეს მოგასვენებს,
გულში მზედ რომ ჩაითეს, —
დიდ რუკაზე მცირე მიწა:
„საქართველო არის ესე!“

4. IV. 95 წ.

ციკლიდან „სოხუმი — ჩემი დიდი სახლი“

იმ ზაფხულამდე

ცხოვრების ფრაგმენტი

მაშინ ინგლისურზე ხუთივენი ერთად დავდიოდით.
ემი — ემა ხიონიდი,
ლიზი — ლიზა ამბარცუმიანი,
ოლინკა — ოლია კონდრატიევა,
მე და მანანა სურმავა.

ემი, ლიზი და ოლინკა ერთ სახლში ცხოვრობდნენ, მეც, იქვე, ახლოს. მანანა ჩვენი უბნელი არ იყო, ახალ რაიონში ცხოვრობდა.

მანანა სურმავასთანა ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა. მაღალი, ქერათმიანი, ატლასივით სახის კანი ჰქონდა.

ბარათაშვილის სადგურთან დაბარებულივით დაგვხვდებოდა დაურ ინაპშბა, ეს წერილი მანანას გადაეცითო. ფოსტით რომ გავუგზავნო ან დავურეკო, მამამისი მომკლავსო.

დაურს დედა ქართველი ჰყავდა და წერილებს ხან ქართულად წერდა, ხან — რუსულად. კონვერტზე კი აუცილებლად ქართულად და აფხაზურად ამოაგვირისტებდა, მანანა სურმავას დაურ ინაპშბასგანო.

ემი ბუზღუნებდა, ეს ძალიან ოფიციალურია, მარტო სახელები დაეწეროს, გვარები რა საჭიროაო.

არ გახსნათო, გაგვაფრთხილებდა დაური, უბნელის ღალატი სამშობლოს ღალატიაო.

არც ვხსნიდით. ოღონდ იმ ერთხელ წაგვძლია სულმა. სულ ოლინკას ბრალი იყო, იმან იცოდა ყველაფრის აჩემება, სანამდე უნდა ვიყოთ მორჩილი ფოსტალიონები. ერთი წერილი რომ გავხსნათ, რა დიდი ცოდვა დაგვედებაო. გავხსენით. იმედი გაგვიცრუვდა: სასიყვარულო ოდის ნაცვლად სულ ერთი საქმიანი წინადადება ეწერა, ხვალ ხუთ საათზე დიდ საათთან გელოდებიო. ლიზიმ, კონვერტს მე დავაწებებო. ოლინკამ არ დაუთმო. ამ გაწევა-გამოწევაში კონვერტი შუაზე გაიხა. ჯერ შევიცხადეთ, მერე ვითათბირეთ, რა ვქნათო.

გადავწყვიტეთ მანანასთვის გაგვემხილა, ვიცოდით, გვაპატიებდა.

მაგრამ იმაზე ვერ შევთანხმდით, რომელს ეთქვა, გვრცხვენოდა, ხომ შეიძლებოდა ეფიქრა, ყველა წერილს ხსნიდნენო.

ემიმ თქვა, წერილი ლიზიმ და ოლინკამ გახიეს და პასუხისმგებლობაც მათ აიღონ, ჩვენ რა შუაში ვართო.

ლიზიმ, მთავარი დამნაშავე ოლინკაა, მაგან გახსნა და წაიკითხაო.

ოლინკამ, მე რომ ვკითხულობდი, რომელიმეს ყურები დაიცოო?!

ერთი სიტყვით, ვერ მოვრიგდით და მანანასთანაც სიტყვა არ დაგვიძრავს.

მეორე დღეს კვირა იყო. დილით ოლინკამ ჩამოგვირეკა, ხუთის ნახევარზე ყველანი ჩემთან მოგროვდით, რაღაც მოვიფიქრეო.

ოლინკამ აივანთან ჩაგვასაფრა, როგორც კი დაური გამოჩნდება, დამიძახეთო. არ ამბობს რას აპირებს, მადროვეთო. ხუთი საათისთვის დაურიც გამოჩნდა, ისეა გამოპრანჭული, ავ თვალს არ ენახვება, აიღო უცებ ოლინკამ და დაურს აივნიდან მთელი ვედრო წყალი დაათქრიალა.

თურმე ეგონა, გაწუწული დაური პაემანზე აღარ წავიდოდა, ორშაბათს კი მანანას გამოვუტყდებოდით ყველაფერში. წყლის გადასხმა კი ბებია აკულინას უნდა დაბრალებოდა, როგორც შემთხვევითობა.

როცა გაცეცხლებული დაური ჩვენთან ამოიჭრა, შეშინებულმა აკულინამ არაფრით არ დაიბრალა დანაშაული, ამ დავიდარაბაში ექვსი საათი დაიწყო. დაურმა ერთი კი ჩაილაპარაკა, სად წამიხვალთ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო და ტანსაცმლისგამოუცვლელად გავარდა პაემანზე. მანანა რომ არ დახვდა, გაბედა და დაურეკა. დაურის ბედად ყურმილი მანანამ აიღო. მოკლედ, ჩავცვივდით.

სამეზობლო სასამართლოზე ოლინკამ დანაშაული აღიარა და სასჯელისგან მეგობრების განთავისუფლება ითხოვა.

არაო, უთხრეს, წერილის გახსნაში ყველა მონაწილეობდა, იქნებ წყლის გადასხმაც საერთო აზრი იყოო.

დაურმა, ორი კვირის განმავლობაში არც ერთი ამათგანი სახლიდან ცხვირგამოყოფილი არ დავინახოო.

გრძელმა ვადიმმა, აბიტურიენტები არიან, გარეთ თუ არ გამოვიდნენ, სამეცადინოდ როგორ იარონო.

ნუ ივლიან, რაც სკოლაში ათი წელი ვერ ისწავლეს, ვერც აწი ისწავლიანო.

ფოტოგრაფ სანდროს შევეცოდეთ, მისაღებ გამოცდებამდე სამი თვეა დარჩენილი, თბილისსა და მოსკოვში მიდიან ჩასაბარებლად, ამათი ჩაფლავება მთელი სოხუმის სირცხვილი იქნებაო.

დაურმა, მაშინ გრძელი გზით იარონ, ოცდაცხრა ნომერ ავტობუსს გაყვნენ და გამოყვნენო. ეს წინადადება აიტაცეს.

ერთობ მძიმე სასჯელი იყო. ოცდაცხრა ნომერ ავტობუსს უსაშველო მარშრუტი ჰქონდა: საკოლმეურნეო ბაზარი — ახლო-მახლო სოფლები. გზად ჩვენს უბანზე გაიკლაკნებოდა და ბარე სამ სოფელს შემოივლიდა — თავისუფლებას, შრომასა და ახალშენს. ეხლა ასვლას არ იკითხავთ? მგზავრების გარდა, გოჭებით, ქათმებით და ინდაურებით იყო გავსებული. ერთ-ორჯერ ხბოც დაგვეგზავრა. ქალაქში მიმავლებს ეს გზა ორჯერ უნდა გაგვევლო — იქითობისას და აქეთობისას. ასეთი იყო პირობა. დაურმა თითი დაგვიქნია, მანანასთან არაფერი წამოგცდეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალიო. ან რა წამოგვცდებოდა, მთელი ის ორი კვირა თვალიც არ მოგვიკრავს. ის დროზე მიდიოდა გაკვეთილზე, ჩვენ — სამი-ოთხი საათის დაგვიანებით. გაკვირვებულ ანიკოს, ჩვენს ინგლისურის მასწავლებელს, ვატყუებდით, აკულინა ბებია ლოგინად ჩავარდა და ოთხივენი ვუვლითო. ასე რამ დაგამტვერიანათო, რომ გვკითხავდა, დასაბანადაც ვერ ვიცლითო, თავს ვიძვრენდით.

— შალვა, შალვა! — გულაჩუყებული გასძახებდა ანიკო ქმარს, — ხედავ, რა გოგონები მყავს, როგორი ღვთისნიერები, როგორი კეთილები...

მანანა და დაური რომ დაქორწინდნენ, არცერთი არ ვიყავით სოხუმში. მე თბილისში ვსწავლობდი, ემი, ლიზი და ოლინკა — მოსკოვში. ზაფხულში რომ ჩავედით, დაურმა რესტორან „ამრაში“ სუფრა გაგვიშალა. საფუძვლიანად ხომ უნდა შევრიგდეთო, იცინოდა.

ქართველისა და აფხაზის დაქორწინება სოხუმში არავის უკვირდა. არც ახლა შეძრულა ქვეყანა. ეგ იყო მხოლოდ, სურმავებმა წაიწუწუნეს, ჩვენი მზეთუნახავი გოგო ასე, ყურის ძირში გასათხოვებლად არ გვემეტებოდაო, ინაპშბებმა, რა დროს დაურის ცოლი იყოო. მერე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ატყდა ერთი ამბავი, არა ჩვენთან უნდა იცხოვრონ, არა ჩვენთანო.

ბოლოს არც მწვადი დასწვეს და არც შამფური: მანანას შინაბერა მამიდას თბილისის გზატკეცილზე ბინა ჰქონდა, ის დაუთმეს ახალგაზრდებს.

შვილი კარგა ხანს არ ჰყოლიათ. მერე ასტამური დაიბადა და ოჯახშიც მწუხარებამ დაისადგურა: ბიჭუნა ინვალიდი აღმოჩნდა. — ფეხი და ენა ვერ აიდგა. არადა მოწყვეტილ ვარსკვლავს ჰგავდა.

ხშირად ვიყავით მათთან ემი, ლიზი, ოლინკა და მე. ოლინკას სადღაც წაეკითხა, ასეთი ბავშვებისთვის დადებითი ემოციები მისწრებააო. ჰოდა, ასტამური ყოველდღე ამოგვყავდა ჩვენს უბანში. თბილისის გზატკეცილიდან ბარათაშვილამდე ინვალიდის ეტლით ამოგორება მისთვის დიდი სიხარული იყო.

გველოდა ხოლმე, თუ დავიგვიანებდით, ატირდებოდა. სიცილი და ტირილი იცოდა, მეტი არაფერი. ვერ ლაპარაკობდა, ვერ დადიოდა, მხოლოდ ხელებს ამოძრავებდა ოდნავ.

რიგრიგობით მივდიოდით, ვის როგორც გვეცალა.

— აკა! — დავუძახებდით და სიხარულით აღარ იყო.

აკა მე დავარქვი, ყველას მოეწონა და ეს სახელი შერჩა.

ერთხელ ფოტოგრაფმა სანდრომ სურათი გადაუღო. კარგად გამოუვიდა. იმ სურათმა ფოტოგრაფთა რაღაც კონკურსშიც კი გაიმარჯვა.

სოხუმის მაიმუნთსაშენში ხშირად იმართებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ მედიკოსები. ერთ-ერთი ასეთი სიმპოზიუმის დროს, არ ვიცი ვის მოაფიქრა და დარბაზის ფოიეში, ჩვენი ქალაქის ცხოვრების ამსახველ სტენდზე, სანდროს გადაღებული აკას სურათიც გამოაკრეს: ინვალიდის ეტლში იჯდა ულამაზესი ბავშვი დიდი, ნაღვლიანი თვალებით.

პროფესორი დოუენიც ამ სურათით დაინტერესდა აკათი, ეს ბავშვი მაჩვენეთო.

პროფესორი დოუენი ამერიკაში ძალიან ცნობილი მედიკოსი იყო. აკას რამდენიმე დღე სინჯავდა. წავიდოდა, თითქოს რაღაც დაავიწყდაო, ისევ მოვიდოდა და ხელახლა გასინჯავდა. ბოლოს თქვა, სექტემბერში ჩამოვალ და ამერიკაში წავიყვან, ჩემს კლინიკაში ვუმკურნალებო. ახლაც წავიყვანდი, აქედან იაპონიაში რომ არ მივდიოდეო.

ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა! აკა იქნებ მოარჩინონო — ჩვენი უბანი ჭკუაზე არ იყო. როცა ვნებათაღელვა ჩაცხრა, ეჭვებიც ამოტივტივდა. მკურნალობის თანხა რატომ არ დაასახელა, „მერე ვნახოთ“ რა სიტყვაა, ამას ამერიკელი კაცი არ იტყვისო, ვინ იცის გულში რა უდევს, იქნებ აკა კი არ ანაღვლებს, საცდელად უნდაო. ჩვენ ამ დავაში არ ვერეოდით, ოლინკამ, იერუსალიმში მიმავალს, ნურც ჰოს ეტყვი და ნურც არასო.

მანანა და დაური ძალიან ღელავდნენ, მაგრამ არ იმჩნევდნენ. ის კი არა, მანანას აჩემებული ჩვეულებაც კი არ მოუშლია, ბოლოს საბედისწეროდ რომ ექცა: ზამთარ-ზაფხულ, ყოველდღე, სულერთია, იყო ხასიათზე თუ არ იყო, აუცილებლად თავს იბანდა ხოლმე.

სექტემბრის მოლოდინში სული გველეოდა. ამერიკაში აკას განკურნებაზე ვოცნებობდით.

მაგრამ პროფესორმა დოუენმა ვერ მოასწრო ჩამოსვლა.

აგვისტოში სოხუმში ომი დაიწყო.

ასე მოულოდნელად თავსდამტყდარი ომის პირველ დღესვე მოკლეს მანანა. აივანზე თმას იმშრალებდა თურმე და მოპირდაპირე სახლის სახურავიდან უსვრია სნაიპერს. რომ მივცვივდით, უკვე ოთახში დაესვენებინათ, მძინარესავით იწვა. ქერა, აბრეშუმივით ფუმფულა თმა შუბლზე ნატყვიარს უფარავდა, გამშრალი, გადატეტკილი ქმარი დაშტერებოდა და თვითონ უფრო ჰგავდა მიცვალებულს.

იმ დღეებში, სანამ მანანას გაასვენებდნენ, დაური სახლში ვერ ჩერდებოდა. ხან სად იპოვნიდნენ, და ხან სად. ძალით მოყავდათ გაოგნებული და ენაჩავარდნილი.

არც ჩვენ ვიყავით უკეთეს დღეში. ტირილსაც ვერ ვახერხებდით. მარტო ოლინკა ტიროდა, ჩუმად, გაბმულად და ხმაწვრილად. ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში იცოდა — თითქოს ბუზი ბზუისო. ცრემლგამშრალი ვისხედით და თავი სიზმარში გვეგონა. დროდადრო მეთევზე პარმენი შემოვიდოდა, შემოგვხედავდა და სიმწრით გადაიქნევდა თავს.

ფანჯრიდან ქუჩა მოჩანდა. წვიმდა. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ქალაქის გიჟი მარადონა, წითელი ქოლგით ხელში, გუბეებს ახტებოდა და „მარსელიოზას“ მღეროდა. სანაპიროდან დროდადრო დაიქუხებდა, მას ავტომატების ჯერი მოჰყვებოდა.

დაკრძალვაზე მაინც ბევრი ხალხი მოვიდა. მანანას დაღუპვა პირველი ელდა იყო ქალაქში. ყველა გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც ძალიან საშინელი, რომ დამთავრდა გუშინდელი ცხოვრება და იწყება ახალი, მოულოდნელი და შეუცნობელი აწმყო.

ვეძებდით სანუგეშო სიტყვებს და ვერ ვპოულობდით.

გვინდოდა იმედი და აღარ იყო.

ვბრაზობდით და არ ვიცოდით, ვისზე გავბრაზებულიყავით.

ვდარდობდით და არ ვიცოდით, რით გვეწამლა ამ დარდისთვის.

დაბნეულები ვიყავით. თანშეზრდილი მეზობლები ერთმანეთს მტრებად ვერ ვაცნობიერებდით.

ორიოდე თვის შემდეგ აკა და დაურიც დაიღუპნენ. დაბომბვაში მოჰყვნენ. ინვალიდის ეტლი რომ არა, ისე იყვნენ დასახიჩრებული, მათი შეცნობა გაძნელდებოდა.

საწყალი აკა! თორმეტი წელიწადი ვევლებოდით თავს. ეჰ! პროფესორო დოუენ, ნეტა იაპონიაში არ შეგევლოთ მაშინ!

ოლინკაც დაიღუპა, ისე მოულოდნელად, როგორი მოულოდნელობებიც ცხოვრებაში უყვარდა.

27 სექტემბერს ოლინკას ქართველი ქმარი მოედანზე დახვრიტეს. თვითონ სვანეთის გზით წამოვიდა...

გზაზე გაიყინაო!

გასაოცარია, ოლინკა ძალიან ჯანმრთელი ქალი იყო. აკი ის გზა ღრმად მოხუცებმა გადმოიარეს. თანაც პალტოც სცმია და ჩექმებიც. აბა, რამ გაყინა, რამ!

ვიცი, რაც მოუვიდოდა. დაეძინებოდა. ოლინკას ძალიან უყვარდა ძილი. დღეში სამ ძილს გამოაცხობდა, ბებია აკულინა მთელ დოქ წყალს დაასხამდა ხოლმე. მიჯდა, ალბათ, სადმე და წაეძინა, ძილში გაიყინებოდა. ჩვენი დაუდევარი ოლინკა, ეს რა ქნა!

ემი და ლიზი გადაურჩნენ ომს. ლიზი მოსკოვშია; ემი კი საბერძნეთში წავიდა. ამას წინათ წერილი გამომიგზავნა: სოხუმელი ბერძნები დიდ მოკითხვას გითვლიანო. ყველანი ერთ უბანში ვცხოვრობთ, ჩვენს უბანს შინაურობაში ბარათაშვილი დავარქვითო. სოხუმი მენატრება, იმ ზაფხულამდე რა ბედნიერები ვიყავითო. მას შემდეგ ზაფხული შემძულდაო. მაინც უსახლკაროდ ხარ, ჩამო, აქ არაფერს გაგიჭირებთო.

ვერ წავალ. ვერ გავძლებ უცხო მხარეში!..

მზია ბელენავა.

ტკივილიანი გაზაფხული



სათნოება საზოგადოებისა და პიროვნების ჭეშმარიტი თავისუფლების ერთ-ერთი ღვთაებრივი ნიშანია უფლის რწმენასა და მამულის სიყვარულთან ერთად. თუ გვსურს, ვეზიაროთ ჭეშმარიტ ბედნიერებას, უნდა გავითავისოთ კიდეც შეჭირვებულ ადამიანთა ხვედრი, ვეცადოთ, გავუღვივოთ სიცოცხლის ინტერესი და დავუბრუნოთ საკუთარი თავის ღირსების შეგრძნების უნარი.

სიბერე მოხუცებულთათვის ტვირთია, მაგრამ არანაკლები ტვირთია ჩვენთვის, ვინც ხარკი უნდა მოვუხადოთ ზნეობას და არასოდეს დავივიწყოთ, რომ ადამიანი მაშინ იქცა ადამიანად, როცა სხვისი ტკივილი და საზრუნავი გაითავისა.

ჩვენ ყველას შეგვიძლია გავულამაზოთ ცხოვრება მარტოხელა მოხუცებს. ყურადღებით დააკვირდით ამ ფოტოსურათებს. ალბათ, ბევრ ჩვენგანს არც ნაუღლია გულგრილად ამ მოხუცებისთვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ისინი უფლის შვილები არიან და არასოდეს დავივიწყოთ, რომ განკითხვა გაფრთხილებებით არ მოდის!

...გაზაფხული კი მძლავრობს. თეთრად გადაიპენტა ალუბლისა და ტყემლის ხეები. სიცოცხლე გრძელდება...

ტრიუმფი

7 „ოქრო“, 2 „ვერცხლი“ და 2 „ბრინჯაო“ — ასეთია ქართველ მკლავჭიდელთა მორიგი ბარაქიანი ნადავლი. ამჯერად, მათ ყველას აჯობეს მოსკოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. ბუნებრივია, მოპოვებულია გუნდური გამარჯვებაც.

კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ გია ხაჩიძე (60 კგ. თბილისი), მინდია ფეტვიაშვილი (ცაციებში, 70 კგ. თიანეთი), ვეფხია სამხარაძე (75 კგ. საჩხერე), კობა თოდაძე (90 კგ. საჩხერე), დათო ჭელიძე (100 კგ. თბილისი), ზაზა გუგუნაშვილი (110 კგ. თბილისი) და ზაურ ცხადაძე (აბსოლუტური წონა, საჩხერე). ავადმყოფობის მიუხედავად, მეორე პრიზიორი გახდა ერეკლე გურჩიანი (85 კგ. მესტია). ასეთივე შედეგს დასჯერდა ვახტანგ ჯავახაძე (110 კგ. თბილისი). მესამე ადგილები დაიკავეს გელა ბეწუაშვილმა (80 კგ. თბილისი) და კობა თოდაძემ (90 კგ. ცაციებში).

იქვე ჩვენი ნაკრები უძლიერესი იყო „ოქროს დათვის“ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზეც, ხოლო 4 ქართველი მკლავჭიდელი ხაჩიძე, თოდაძე, ჭელიძე და ცხადაძე ევროპა-ამერიკის სამატჩო შეხვედრაზეც მიიწვიეს და მათ დიდი წვლილი შეიტანეს ევროპელთა წარმატებაში.

ყოჩაღ!

7 მედლითა და გუნდური მეოთხე ადგილით დაგვიბრუნდნენ თანამეგობრობის ქვეყნების 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ლიაჩემპიონატიდან ქართველი ტაიბოქსის ოსტატები.

ოდესაში გამართული ამ ასპარეზობის გამარჯვებული გახდა როინ ფილაური (51 კგ.), ვერცხლის ჯილდო წილად ხვდა გიგი კობაიძეს (60 კგ.), მესამე პრიზიორები კი გახდნენ ლაშა ჯაჯანაშვილი (45 კგ. ამავე წონაში ლევან ქევხიშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა), გიგა კორძაძე (48 კგ.), მიშიკო ძაგნიძე (54 კგ.), გია მამულაძე (57 კგ.) და პავლე კურკუმული (63 კგ).

ჩვენი სპორტსმენები ამ ტურნირისათვის მოამზადა რესპუბლიკის ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაციამ (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია). უკრაინაში გამგზავრებაში დახმარებისათვის ფედერაცია მადლობას უხდის „ინდუსტრიაბანკის“ გამგეობის თავმჯდომარეს თამაზ მაღლაკელიძეს, „ივერთბანკის“ თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ ლობჟანიძეს და... მშობლებს. დავძენთ, რომ კიდევ ოთხი ათლეტის დაფინანსება და წაყვანა ვერ მოხერხდა, თორემ შედეგები შეიძლება უკეთესი ყოფილიყო.

საქართველოს ნაკრები ივნისში მიიწვიეს თანამეგობრობის ჩემპიონატზე (უფროსებში). არც ისე დიდი დრო დარჩა კიკბოქსინგელთა მსოფლიო ჩემპიონატამდე (ნოემბერი), სპონსორი კი ჯერ არ ჩანს და მათში მონაწილეობა ერთობ პრობლემურია...

შედეგი—დადებითი. თამაში?

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ — ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მორიგ საშინაო შესარჩევ მატჩს ალბანელებთან საქართველოს ნაკრები სათანადო მზადყოფნაში ვერ შეხვდა. ამის შესახებ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არაორაზროვნად მიგვანიშნა მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ და ამ შემთხვევაში ძნელია არ დაეთანხმო მას. თავად განსაჯეთ: ჩვენი გუნდი მინდორზე რევიშვილის, ცხადაძის, ნემსაძის, გოგრიჭიანის, ქინქლაძის და ოპტიმალური შემადგენლობის კიდევ რამდენიმე მოთამაშის გარეშე გამოვიდა. უმეტესობა ტრავმების გამო მოვისაკლისეთ. მაგრამ მხოლოდ ეს მიზეზი რომ ყოფილიყო ხელისშემშლელი ფაქტორი, რაღა გვიჭირდა. აქ საუბარი პროფესიონალიზმზე, უფრო სწორად, მის დეფიციტზეა, როდესაც ეროვნული ნაკრების წევრები საპასუხისმგებლო ოფიციალური მატჩის წინ შეკრებაზე ფუნქციონალურად არასახარბიელო მდგომარეობაში ცხადდებიან, ამის გამოსწორება რამდენიმე დღეში შეუძლებელი ხდება, რაც შესაბამის ასახვას თამაშის დროს პოულობს. ეს იგრძნობოდა განვლილ ოთხშაბათსაც.

თვით შეხვედრა ისე დინამიკურად დაიწყო, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი — მეორე წუთზე ჯამარაულის ზუსტი გადაცემით მასპინძელთაგან საუკეთესო მოთამაშე შოთა არველაძე პირისპირ დარჩა სტუმართა მეკარესთან, იოლად მოატყუა იგი და „ტიროლთან“ და გერმანიის ნაკრებთან მატჩებისაგან განსხვავებით, ამჯერად, ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა. მეორე გოლის თანაავტორიც ჯამარაული გახლდათ. მისი კიდევ ერთი მწვავე პასი ქეცბაიამ პირველი ტაიმის მიწურულს ლამაზი გოლით დააგვირგვინა — 2:0. ეს იყო და ეს.

90 წუთის მანძილზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მინდორზე უსისტემო მოვლენები ვითარდებოდა, რასაც ძირითადად ალბანელთა დაბალი კლასიც უწყობდა ხელს. სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ის კითხვა, ჰოლანდიელი მსაჯის რ. ლუინგის საფინალო სასტვენის შემდეგ ტრიბუნაზე რომ მოგვესმა: ამ გუნდმა გერმანიასთან შეხვედრებში ორი ბურთი როგორ გაიტანაო? მით უფრო დასანანია, რომ ასეთ სუსტ მეტოქესთან, კარგი შედეგისა და რამდენიმე გაბრწყინების გარდა, ქართველმა ფეხბურთელებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: საქართველო-ალბანეთის მატჩის ერთ-ერთი მომენტი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

იმავე დღეს ბულგარელებმა კიშინიოვში დაჯაბნეს მოლდოველები 3:0, გერმანიისა და უელსის ნაკრებთა მატჩი კი მოულოდნელი „დაზავებით“ 1:1 დასრულდა.

სადღეისოდ VII შესარჩევი ჯგუფის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ბულგარეთი	5	5	0	0	15:2	15
გერმანია	5	4	1	0	10:3	13
საქართველო	6	3	0	3	8:5	9
მოლდოვა	6	2	0	4	5:15	6
უელსი	6	1	1	4	6:15	4
ალბანეთი	6	1	0	5	5:9	3

7 ივნისს ითამაშებენ უელსი-საქართველო, მოლდოვა-ალბანეთი, ბულგარეთი-გერმანია.

ხსოვნა

ბექან შალვანდიშვილი

გარდაიცვალა [illegible] და [illegible]ვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ბექან შალვანდიშვილი.

მრავალფეროვანი იყო ბატონი ბექანის ცხოვრებისეული გზა. სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, სადაც მძიმე ჭრილობა მიიღო. ომის შემდეგ მუშაობდა ხულოს რაიონში და სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა. 1956 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დოცენტის წოდება მიენიჭა. იმავე წელს დაინიშნა მაშინდელი სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. 1962-1975 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

შემდგომში, 12 წლის მანძილზე მუშაობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორად. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა შორის პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტების სახელმძღვანელო „სიახლენი მიწათმოქმედებაში“, რისთვისაც პროფესორის წოდება მიენიჭა. ბატონი ბექანი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

კეთილშობილი ოჯახის უფროსი, სამი შვილიშვილის პაპა, ერის წინაშე ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან.

დაე, მსუბუქი იყოს თქვენთვის, ბატონო ბექან, ქართული მიწა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

შუანგი ტაბუცაძე

მთელმა ონის რაიონმა მწუხარებით დაიტირა და უკანასკნელ გზაზე წრფელი ცრემლით გააცილა კუთხის ღირსეული შვილი, რაიონის ერთი მესვეურთაგანი, ხალხის წიაღიდან გამოსული პატიოსანი თავკაცი და ორგანიზატორი, ხალხისათვის მზრუნველი და მომაგე შუანგი სერგოს ძე ტაბუცაძე.

1925 წელს მშრომელი კაცის ოჯახში დაბადებული და ასევე პატიოსან შრომაში დაღლილი კაცის სიცოცხლე სამოცდაათი წლის ასაკში შეწყდა, მოულოდნელად და სანანურად, რადგან მისი უნარი და გამოცდილება ისევ სჭირდებოდა მის ხალხსა და მშობელ კუთხეს.

სადაც უნდა ემუშავა ონის რაიონში, ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე, შუანგი ტაბუცაძეს, — [illegible] მეურნეობის დირექტორად თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსად, რაიკავშირის მესვეურად თუ სხვაგან, — საქმის ცოდნასთან და მეურნის ნიჭთან ერთად, მის ყოველ ნაბიჯს სისპეტაკე და სინდის-ნამუსი გამოარჩევდა. ამას მეტყველებდა სამგლოვიარო პროცესზე წარმოთქმული, მღელვარებისა და სინანულისაგან ჭირისუფალთა შუაზე გაწყვეტილი სიტყვები...

შუანგი ტაბუცაძის პატიოსანი სახელი ყოველთვის ეხსომებათ მის მეგობრებს და ონის რაიონის მოსახლეობას. ასეთ კაცებს დავიწყება არ უწერიათ.

ონის რაიონის გამგეობა და უახლოესი მეგობრები.

გახსენება

ლევან ცქიტიშვილი

ყოველ ღამე მესიზმრები, არ მასვენებს შენი ნატყვიარები, ღიმილი და სევდიანი თვალები. ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდა, რა გიჭირს, რა მოგივიდა. სიზმრებშიც სულ ერთად ვართ, თუმცა, იქაც ისეთივე უთქმელი დარჩი. სიცოცხლეში ერთხელაც არ დაგიჩივლია ცხოვრების ამაოებაზე, ვაჟკაცურად უმკლავდებოდი დაბრკოლებებს.

ლევან, ყოველთვის გამოირჩეოდი გარეგნობითა და სულგრძელობით, წასვლამდე ყველას სიხარული დაგვირიგე. როგორ გიხდებოდა ფარაჯა.., სულ თვალწინ მიდგახარ, მახსენდება შენი სიტყვები, ყოველი მოძრაობა, თითოეული გამოხედვა, მენატრები, მენატრები, როგორც არასდროს. ავდივარ სასაფლაოზე და შენს მაგივრად მიწას ვეფერები.

ბოლო დროს, თითქოს გრძნობდი სიკვდილის მოახლოებას. ყველაფერს ასწრებდი, ყველაფერში ჩქარობდი, მხოლოდ ერთი — ოჯახის შექმნა ვერ მოასწარი და იმქვეყნად დიდი სიყვარული წაიღე, ის სიყვარული, რომელიც მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში.

სიცოცხლეშივე მოასწარი გმირად აღიარება. 24 წლისამ პოლკოვნიკის ჩინი მიიღე. 28 ოქტომბერს კი ხობში გამძვინვარებულმა მოძმეებმა დაგხვრიტეს.

წახვედი და თან წაიღე აუხდენელი ოცნებები, ვერ დაამთავრე თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

სკოლა, რომელშიც სწავლობდი, ლევან, დღეს შენს სახელს ატარებს.

წელს მეორე დაბადების დღე აღვნიშნეთ უშენოდ. 26 წლის გახდი, მაგრამ წლები ჩვენთვის არაფერს არ ნიშნავს, შენ ჩვენთვის უკვდავი ხარ, მე ვამაყობ შენით, ლევან!

გავა დრო და როგორც ყველა მოკვდავი, ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, გავუზიარებთ დაგროვილ ტკივილსა და დარდს, რომელსაც დრო და ჟამი ვერ კურნავს.

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა.

შენი და — ბაია-თამარ წერეთელი.

დედა გალინა მძინარაშვილი, მამა შალვა ვახტანგიშვილი, ძმა ზაზა, და ნანა, ბებია მარიამი, ბიძები გურამ, გოზბან მძინარაშვილები, სერგო აბრამაშვილი, რომან ლომიტაშვილი, დეიდები ნადია, ოლია მძინარაშვილები, ბიძაშვილები ვეფხვია, მანანა, ეთერი, ბესიკი, ბონდო, ლალი მძინარაშვილები, დეიდაშვილები ლერო, გოჩა, გოგია, გალინა, ნაზი, ნიკო აბრამაშვილები, იზო, ზურაბ, ნინო, დათო ლომიტაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან (ნატო) შალვას ასული ვახტანგიშვილი

გამოსვენება შაბათს, 29 აპრილს, 10 საათზე. მისამართი: გლდანის მასივი, მე-7 მიკრორაიონი, მე-11 კორპუსი, I სადარბაზო.

დაკრძალვა კვირას, 30 აპრილს, 14 საათზე. მისამართი: ქარელის რაიონი, სოფელი ვედრება.

გივი მაისურაძე და არმაზ ხანიბლიძე თანაგრძნობას უცხადებენ ბესო კეიდიას და მის ოჯახს, მამის

ბენრის კეიდიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური თანაუგრძნობს საგადასახადო ინსპექციის უფროსს ქ. ბორჯომში

ბიჭიკო (ლევან) კიკნაძის

ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

ლტოლვილთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნებიდან დევნილი მოქალაქეების ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი ამა წლის 1 მაისიდან ატარებს ამ პირთა ხელახალ აღრიცხვა-რეგისტრაციას.

ამისათვის პიროვნება პირადად უნდა გამოცხადდეს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის საგარეო მიგრაციის სამმართველოში (ცოტნე დადიანის, 30). ეს არ ეხება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.

კომიტეტის პრესცენტრი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

ინფორმაცია

გეგმა — 207 პროცენტით

ზესტაფონის რაიონმა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის შარშანდელი გეგმა 207 პროცენტით შეასრულა — ნაცვლად დაგეგმილი 156 მილიარდი კუპონისა, შემოსავალმა 323 მილიარდი შეადგინა. წლეულს, ზესტაფონელებს რესპუბლიკის ბიუჯეტში ერთი ტრილიონ 400 მილიარდი კუპონის შეტანა აქვთ გათვალისწინებული, ფაქტობრივად, გეგმის 55 პროცენტი უკვე შესრულებულია. ადგილობრივი მმართველობა საბიუჯეტო სახსრების დიდ ნაწილს სოციალური და კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად გამოიყენებს.

ჰენრი შარიქაძე.

მოკლეს პროკურორის თანაშემწე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თბილის-გეგუთის გზის 46-ე კილომეტრზე, სოფელ რაჭისუბნის შესასვლელთან ბოროტმოქმედებმა საკუთარ მანქანაში მოკლეს ბოლნისის რაიონის პროკურორის თანაშემწე დავით ფოლადაშვილი.

შემთხვევის ადგილზე ნახეს ნიღბაფარებული ორი გვამი.

საქმეს იძიებს ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა.

ისევ ხელყუმბარა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 27 აპრილს, ღამით „საქსოფლმშენის“ დასახლების მეორე კორპუსში ხ. ჩილოევის საცხოვრებელ სახლში ლ. კეკელიძეს აუფეთქდა ხელყუმბარა.

აფეთქების შედეგად ორივე ადგილზე დაიღუპა.

გიორგი პაპას დანაშაული

კაცი, რომელიც „კაპიტნებს“ და, შესაძლოა, „გენერლებსაც“ აცხობდა

65 წლის გიორგი პაპა სათამაშოდ ვერ მოიცლის; რადგან მოჰკიდა ხელი, ეტყობა, სარფიანი, გასავლიანი საქმეა.

რა უნდა გაგიკვირდეს: ახლა ყველაფერს ყიდიან, ყიდულობენ. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ყალბ პირადობის მოწმობებს კი შეიძლება ეშმაკიც დახარბდეს.

არ უჩიოდა ბედს გიორგი ბოსიკაშვილი;

კლიენტიც საკმაოდ ჰყავდა. ღმერთმანი, ნამდვილისაგან ვერავინ გაარჩევდა მის ნაყალბევს.

ახლა ბორკილები დაადეს ოქროს ხელებზე, მოწმობების დამამზადებელი მოწყობილობაც ჩამოართვეს.

საინტერესოა გიორგი პაპასთან ხომ არ გამოცხვა „კაპიტანი“ ვაჟა სინჯარაძე?!

მას ჯიბეში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ყალბი მოწმობა ედო, ბინაში — თავდაცვის სამინისტროსი. რასაკვირველია, — ცეცხლსასროლი იარაღი, კერძოდ, „ბრაუნინგიც“ ჰქონდა...

ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების დამზადება ზოგჯერ ყალბი ფულის მოჭრაზე საშიშია. რამდენი ადამიანი გააუბედურეს ასეთი მოწმობებით შეიარაღებულებმა, რამდენი სიავე ჩაიდინეს, „გამოიპერენ“ ფულიანს, აუფრიალებენ დოკუმენტს, არაადამიანურად აწამებენ, ტყავს აძრობენ...

ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურს ხუთკაციანი „ოპერატიული ჯგუფი“ ეწვია. ვინმე ვალერიან ადუაშვილი „დააპატიმრეს“, ჩასვეს ავტომანქანაში და თბილისში ჩამოიყვანეს. არ ვიცი, როგორ, რისთვის, რანაირად — „პატიმარი“ წერეთლის პროსპექტზე, პოლიციის ფონდის შენობაში დაიმარტოხელეს. იმისათვის, რომ გაგათავისუფლოთ, 4 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოო, წაუყენეს ულტიმატუმი. ვერ შესწვდა მელა ყურძენს: მსხვერპლი კვლავ სოფელ ბადიაურში დააბრუნეს და 600 ათასი მანეთი დასცანცლეს.

თვითმარქვია პოლიციელები — შოთა მოსაშვილი, დავით ქავთარაძე, ანზორ ბაქრაძე, თემურ ქავთარაძე და მამუკა გოგეშვილი — ამ დღეებში ამხილა ნამდვილმა პოლიციამ. ერთ-ერთ ქავთარაძეს ბინაში „ნაგანი“, მცირეკალიბრიანი შაშხანა და სანადირო თოფები უპოვეს.

ათობით ასეთი თვითმარქვია დაძრწის დაუსჯელად და ყაჩაღობს პოლიციელის სახელით. მათი გამოვლენა არც ისე იოლია, რადგან ბევრი ორგანოს თანამშრომელიც არ თაკილობს მსგავს საქმიანობას.

ასე ხდება გიორგი პაპა მრავალი უმძიმესი დანაშაულის თანამონაწილე.

მაგრამ იცის ეს გიორგი პაპამ?

იციან მისმა შეგირდებმა?

ასეთი დროა, ფორმა, მოწმობა უპირატესობად, პრივილეგიად ითვლება. ამიტომ გახშირდა ასეთი გამოთქმები: „გაგიხვრეტ არა შუბლს, არამედ ქუდს“, „თავზე გადაგახევ მოწმობას!“ და ასე შემდეგ.

ხშირ შემთხვევაში, ეს უპირატესობა ტრაგედიის, უბედურების წანამძღვარია.

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში მდინარე ქსნის ნაპირზე ახალგაზრდა ფორმიანი ყმაწვილის გვამი იპოვეს.

ის თავდაცვის სამინისტროს მე-3 ბატალიონის რიგითი, 23 წლის გელა ჭიხანაშვილი აღმოჩნდა.

გვამი ზურგიდან დაეცხრილათ...

გაირკვა, რომ მკვლელობამდე ორი თვით ადრე, გელამ, ერთ-ერთ მეგობართან ერთად, ბატალიონის საწყობიდან 11 ავტომატი მოიპარა. გადაწყვიტეს, იარაღი გაეყიდათ და ფული გაენაწილებინათ. მაგრამ ეს საკმაოდ სარისკო ოპერაცია როგორ განეხორციელებინათ, არ იცოდნენ. მაშინ უფრო გამოცდილი თანაბატალიონელები იხმეს. ღამის 11 საათზე ქსნის ნაპირას შეიკრიბნენ, რა ვერ გაიყვეს, არავინ იცის, სიბნელე ავტომატის კაკანმა დაცხრილა.

ახლა ცნობილია, ამ „საიდუმლო სერობის“ ყველა მონაწილის ვინაობა, ოღონდ ეს არის, მკვლელი ჯერჯერობით ემალება მართლმსაჯულებას.

ბევრს იმედი აქვს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების ტრანსპორტირებას კვლავ და კვლავ მოწმობა გაუადვილებს.

საგზაო პოლიციის ალგეთის საგუშაგოზე ავტომანქანა „ჟიგული“ შეამოწმეს.

საჭესთან მჯდომ ვალერი სარუხანოვს, ზურგს უშიშროების სამსახურის თანამშრომელი არტურ გობოზოვი უმაგრებდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეგობრებს 25 გრამი ოპიუმი მოჰქონდათ.

სამშვიდობოზე გამოსვლისას, ძვირფას პროდუქტს ისინი ადრე ნასამართლევ აშოტ ხაჩატუროვს გადასცემდნენ, მან კი კარგად იცის თავისი საქმე.

ფორმა, მოწმობა თითქოს აადვილებს ცხოვრებას.

ამიტომ ესწრაფვიან მის შეძენას, ზოგჯერ ყიდვასაც არ ერიდებიან.

ამიტომ ფასობენ გიორგი ბოსიკაშვილები, მისი მსგავსნი.

არადა ეს მირაჟია, ილუზიაა...

ცხოვრება სიკეთემ, მიტევებამ, მოყვასის პატივისცემამ უნდა გააადვილოს.

მავანმაც ჯერ კაცის კაცობა უნდა შეამოწმოს და მხოლოდ შემდეგ მისი მოწმობა...

ზაურ მაკარაძე.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ცოტ-ცოტაობით დაგროვებული დოლარები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამხილეს დამნაშავენი — დიდუბის გამგეობის ბიზნესისა და კომერციის ცენტრის ქვესაწარმო „დიდუბის“ ოთხი მუშაკი.

შემოწმებისას დადგინდა, რომ „დიდუბის“ ტერიტორიაზე განლაგებული ჯიხურებიდან ისინი ყოველდღიურად კრებდნენ გადასახადს — ამერიკულ დოლარებს, შემოსავალში კი უჩვენებდნენ შეგროვილი თანხის მხოლოდ მცირე ნაწილს კუპონებით, დანარჩენ თანხას ითვისებდნენ.

წინასწარი მონაცემებით, თანხამ 30 მილიონი რუსული რუბლი შეადგინა. გაირკვა ისიც, რომ სალაროში შეუტანელ თანხას დამნაშავენი იმავე ტერიტორიაზე უნებართვოდ და ულიცენზიოდ შექმნილ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მოგების მიზნით იყენებდნენ.

მათ აღიარეს დანაშაული და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, წარმოადგინეს 5 ათასი ამერიკული დოლარი, 4 მილიონი რუსული რუბლი და 542 მილიონი კუპონი.

დანაშაულში საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკებთან ერთად მხილებულ იქნენ აგრეთვე დაცვის პოლიციელებიც. მათ 118 ათასი რუსული რუბლი და გაუფორმებელი უცხოური წარმოების სამი ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოერთვათ.

მოკვლეული მასალები გადაეცა საგამოძიებო დეპარტამენტს.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გრძელდება.

ვახტანგისი: ნარკობიზნესთან ბრძოლა გააქტიურდა

1995 წლის იანვრიდან 20 აპრილის ჩათვლით გარდაბნის რაიონის პოლიციის ძალებმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმეები ნარკოტიკების 33 მომხმარებლისა და 12 რეალიზატორის გამო. შედარებისათვის შარშან დააკავეს 32 ნარკომანი და მხოლოდ ერთი ოპიუმით მოვაჭრე.

რამ შეუწყო ხელი კარდინალურ ცვლილებებს რაიონის პოლიციის მუშაობაში? ამაზე ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტს **თენგიზ ჩხიკვაძეს** გარდაბნის რაიონის პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი **მურთაზ ჩიქობავა.**

— საიდუმლო როდია, — თქვა მან, — რომ გარდაბნის რაიონის სოფელი ვახტანგისი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, უკვე არაერთი წელია საქართველოში ნარკოვაჭრობის ერთ-ერთი კერაა, რასაც უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს ნარკოსაქმოსნებისა და მათი მფარველებისათვის. არც ისე დიდი ხნის წინათ ნარკოტიკებით მოვაჭრენი, იმყოფებოდნენ რა სოფლის ტერიტორიაზე უშუალოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო და საბაჟო საგუშაგოების სიახლოვეს, უშიშრად ეწეოდნენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმეებს.

— საქართველოს მხარის მოუქნელი მუშაობა, — განგვიმარტა მ. ჩიქობავამ,—რომელიც აქტიურ ბრძოლას არ ეწეოდა ნარკოდამნაშავეთა წინააღმდეგ, უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრეებს იცავდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აზერბაიჯანის „ომონის“ ძლიერი რაზმი ოზგან ნიზებულის მეთაურობით. მას კი, თავის მხრივ, მფარველობდა რესპუბლიკის „ომონის“ უფროსი რაუშანდ ჯალადოვი. ბევრჯერ მისულა საქმე იქამდეც კი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იარაღით შემოჭრილა ომონის ეს რაზმი. ჩვენი მესაზღვრეებისა და მებაჟეების რეალური ძალა კი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მათ.

— მას შემდეგ, რაც ჩაიშალა აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების ცდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ „ომონის“ რაზმები რაუშანდ ჯალადოვის მეთაურობით, — თქვა მან შემდეგ, — საზღვარს აზერბაიჯანის მხრიდან რეალური კონტროლი დაუწესეს ამ რესპუბლიკის მესაზღვრეებმა, ამავე დროს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ძალებმა დააკავეს ყველაზე დიდი ნარკომოვაჭრენი ამ მონაკვეთზე, რომლებიც ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ეწეოდნენ არა მარტო ნარკოტიკების დანაშაულებრივ ექსპორტს საქართველოში, არამედ იტაცებდნენ კიდეც საქართველოს მოქალაქეებს გამოსასყიდის მიღების მიზნით. მას შემდეგ, რაც ისინი დააკავეს, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამართალდამცველმა ორგანოებმა დაიწყეს ერთობლივი ოპერაციების განხორციელება ნარკოტიკებით დანარჩენ მოვაჭრეთა დასაკავებლად. როგორც ხედავთ, ეფექტი ცხადია — სოფელი ვახტანგისი მნიშვნელოვნად გაიწმინდა მათგან.

— მაგრამ, — აღნიშნა მ. ჩიქობავამ, — ნარკობიზნესი აქ ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ არც ერთი მხარე ჯეროვნად არ იცავს საზღვარს მთელ მის სიგრძეზე. ამჟამად „ჩვენი“ ნარკომოვაჭრენი იძულებული არიან ამა თუ იმ გზებით შეიძინონ თავიანთი დანაშაულებრივი ტვირთი აზერბაიჯანში. შემდეგ კი ყოველგვარი ხვრელებით, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბილიკებით შემოიტანონ იგი საქართველოში... მაგრამ პრობლემა მარტო ეს როდია. როგორც ცნობილია, დღემდე უმოქმედოდ არის საპასპორტო რეჟიმის სისტემა როგორც ჩვენს, ისე აზერბაიჯანის მხარეზე. ჩემი აზრით, ახლა განსაკუთრებით მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ ქვეყნის პარლამენტმა მიიღოს კანონი სახელმწიფო საზღვრის თაობაზე. ჯერჯერობით კი, როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამართალდამცველ ორგანოებს არ შეუმუშავებიათ ნარკობიზნესთან ერთობლივი ბრძოლის პროგრამა.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
[illegible]